# სახალხო გაზეთი

№ 821 ოთხშაბათი, 13 თებერვალი 1913 წ. № 821

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა ,,შრომა''-ში, მუხრანის ქუჩა, და ღირს 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში — მორსკაია 11, ვარშავაში — მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში — ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება ,,სახალხო გაზეთი''-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული ,,სახალხო გაზეთი'' 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წლიურ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.

,, ,, თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.



## სახალხო გაზეთი

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო.

მიიღება ხელის მოწერა 1913 წლისათვის.

ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა 1913 წელსაც გაზეთს ექნება

### სურათებიანი დამატება

(კვირაობით)

პრემიად 1913 წლის ხელის მომწერთ მიეცემათ **ორი წიგნი**

1) **უცხოეთის მწერლები** (400 გვ.) ამ კრებულში მოთავსებული იქნება თხზულებანი შემდეგ გამოჩენილ მწერლებისა — **კნუტ ჰამსუნისა, არტურ შნიცლერისა, ჰენრიკ სენკევიჩისა** და სხვათა.

2) **ქართველი ერის ისტორია**, პროფ. ივ. ალ. ჯავახიშვილისა. პირველი და მეორე ტომი ერთს წიგნად, სურათებითა და ძველი საქართველოს რუკით.

გაზეთის ფასი წლიწადში **8 მ. და 50 კ.** ცალკე № შაურად. დამატებიანი 7 კაპ.

| 12 თ. | 11 თ. | 10 თ. | 9 თ. | 8 თ. | 7 თ. | 6 თ. | 5 თ. | 4 თ. | 3 თ. | 2 თ. | 1 თ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8.50 | 8. | 7.50 | 75 | 6. | 5.25 | 4.50 | 3.75 | 3. | 2.25 | 1.50 | .75 |

საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 50 კაპ.

ადრესის გამოსაცვლელი ფასი ტფილისისა ტფილისს გარედ, ან ტფილისის გარეთისა ისევ ტფილისის გარეთისაზე. **40 კაპ.**

ნაღდ ფულის შემთხვევებში უფასოდ.

**ათი შაური** უნდა გადიხადოს კიდევ იმ ხელის მომწერმა, რომელსაც სურს მიიღოს ფოსტით ორი საპრემიო წიგნი. ვინც რედაქციის კანტორაში მიიღებს პრემიას, იმას ეს ფული არ გადახდება.

წლიურ ხელის მომწერთ გაზეთის ფასი 8 მან. 50 კაპ. შეუძლიანთ გადაიხადონ **ნაწილობით**

**მხოლოდ** შემდეგ ვადებზე უნდა იყოს გადახდილი: ხელის-მოწერისათანავე 3 მ.; 1 აპრილამდე 2 მ.; 1 თიბათვემდე 2 მ. და დანარჩენი 1 მ. 50 კ. 1 ენკენისთვემდე.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს 1913 წლის გასულისა.

**ხელის მოწერა მიიღება:**

1) ,,სახალხო გაზეთი''-ს კანტორაში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახლი, შესავალი ეზოდან).

2) ქ. შ. წ.-კ. ს. მთავარ გამგეობის წიგნის მაღაზიაში,

3) ფოსტით: Тифлис, газ. „Сахалхо Газети". П. Ящ. 190.


10 თებერვალს, 1913 წ., დ. ბორჯომში ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ტფილისის ქალთა მეორე გიმნაზიის მეხუთე კლასის მოწაფე

**ნინა (ლოლა) იოაკიმეს ასული გორგაძისა,**

რასაც გულდამწვრნი მშობლები: **ბლაღოჩინი მღ. იოაკიმე გორგაძე, მეუღლე მისი მარიამ ამბაკოს ასული, ბაბუა მღ. იოსებ გორგაძე, ძმა გრიშა და ნინა**, აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს; დასაფლავება მოხდება ხუთშაბათს, 14 თებერვალს, დილის 12 საათზედ. 106.

სოფელ სტეფანწმინდის (ყაზბეგის) მღვდელი **ბართლომე გრიგოლის ძე ლუდუშაური** მწუხარებით აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ თავისი ასულის ტფილისის ქალთა უმაღლეს კურსებზე ყოფილის მოსწავლის

**ბარბარე (ოლა) და ძმის წულის ფეფოს**

უდროვოდ გარდაცვალებას. დამწუხრებული მამა უფრო გულმოკლულია მით, რომ მასზე დამოუკიდებელი მიზეზისა გამო შვილის დასაფლავებას არ ესწრება. 108.


### ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში

**იყიდება შემდეგი წიგნები:**

ისტორია ბავშვის სულ მდგომარეობისა. . . ფ. 50 კ.
ბავშვის მოვლა ნათაძის. 25 „
„ „ კომბიხა. ნამახაძ. 40 „
დედაკაცის ხვედრი. . 15 „
მშობლები და მათი შვილები — როგორნიც უნდა იყვნენ და ზრდიდნენ . . . 30 „
ჩვენს ქალებს. შტაბ წერილები . . . . 20 „
სამი მსხვერპლი. დ. კასრაშვილისა . . . 30 „
აკაკის საიუბილეო კრებული. . . . . 25 „

Народная медицина въ Закавказскомъ Краѣ . . 70 „
Эскизы и Этюды. И. Хонэли 1 მ.

**მიღებულია ახალი წიგნები:**

Памятная записка объ Иверскомъ монастырѣ на Аѳонѣ . . . . . . 50 „
Нетронутый уголокъ. Ведребисели. . . . . 60 „
მცენარენი და ცხოველები ვ. რცხილაძისა . . . 40 „
ვლადიმერ სარ ალექსი-მესხიშვილი. ბიოგრაფია, შედგენილი დ. კასრაძისა 50 „

ადრესი: Тифлисъ Об. распр. гр. мотн сти сред. гр. нас. 1141

— გამოსულია და იყიდება —

**ე. შიუკაშვილის პიესა „მემოგრობა"**, დრამა 4 მოქმედებ. ფასი 30 კაპ.

დილის 9—10 ს. ღარიბების მიღება უფასოდ.

**დოქტორი მედიცინისა** ბერლინის უნივერს. **გ. გ. მეგრაბიანცი**

**წამლობა ჭლექისა.** იღებს შინაგან სნეულ. ქალქთა და გულით ავადმყ. წამლობა ტუბერკულინით, რიდიის პრეპარატებით და პნევმოტორაქსით. იღებს ყოვ.-დღ. ახალ ბინაზე დილ. 9—1 ს. და საღ. 5—8 საათ. ადრესი: სოლოლაკი, ბებუთოვის ქ. № 23 (გალოვინის ქ. ტელეფ. კუთხე). 7 92. 97.



ტელეფ. № 795. **ქართული თეატრი** წარმოდ. № 51.

✦ კ. დ. ყიფიანის გასტროლი. ✦

ხუთშაბ., 14 თებერ., ქართ. დრ. საზ. დასის მიერ **კ. დ. ყიფიანის** მონაწილეობით წარმოდგ. იქნება ცნობილი ისტორიული პიესა

**დ ა - ძ მ ა**, დრამა 5 მოქ. ვ. გუნიასი.

ოტია-ჯოლიას როლს შეასრულებს **კ. ყიფიანი**.

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: დავითაშვილი, ჯავახიშვილი. ბ-ნნი: აბდუშელი, ალექსიძე, გედევანოვი, ზარდალიშვილი, მატარაძე, ქივი ე, ყიფიანი, სარაული, კიკიშვილი, შალიკაშვილი, შანშიაშვილი.

**დასაწყ. სწორედ საღ. 8 ს.** ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

ადმინ. ქართ. დრამ. საზ. რეჟისორი **ვ. შალიკაშვილი.**

ა ნ ო ნ ს ი: კვირას, 17 თებერ., **გ. გედევანოვის** საბენეფისოდ წარმოდგენილი იქნება **კ. დ. ყიფიანის** მონაწილეობით **,,მეფე ლირი''.** 1040

### ქ ა რ თ უ ლ ი თ ე ა ტ რ ი

კვირას, 17 თებერვალს გაიმართება

## ს ა ბ ა ვ შ ვ ო დ ი ლ ა

სამ განყოფილებით: 1 ბავშვები წარმოადგენენ ბ. ახალციხელის მიერ გადმოქართულებულ პიესას — „ო ბ ო ლ ი"

2. ლიტერატურულ-ვოკალური განყოფილება ბავშვების მონაწილეობით; ცოცხალი სურათები, სახუმარო გასართობები და სხვა.

3. პროექტორი განმარტებით ილია ნაკაშიძის მიერ.

გამგე დილისა **ნ. ნაკაშიძე.**

ბილეთები იყიდება „ნაკადულის" რედაქციაში (გოლოვინის პროსპექტი № 8) და ქართულ თეატრის კასაში. 1056.

### ტფილისის კერძო სამკურნალო

**ახლად გადაკეთების შემდეგ, ავადმყოფები მიიღებიან ძმებიძე-ის ქუ. ა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და მუხრანის სასტუმროს ახლო.**

**ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 590.**

**სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.**

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს იღებენ შემდეგი ექიმები-სპეციალისტები.

| | |
|---|---|
| შინაგანი სნეულებანი. | დემეთრიაძე რ. ს. (ყოველ დღე) 1—2. მანსვეტაშვილი გ. მ. (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3. მაღალაშვილი გ. გ. (სამშაბ. და შაბათობით) 10—12. მიქელაძე შ. ა. (ყოველ დღე) 12½—1. ფედოროვა ე. ე. (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. |
| ქირურგიული სნეულებანი. | მარკოვიჩი ვ. ლ. კონსულტანტი (ყოველ-დღე) 11½—12½. მელიქიშვილი ნ. მ. (ყოველ დღე) 10—1. ფირალოვა რ. ბ. (ყოველ დღე) 12—1. ექ. ქალი ენგელ-მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა. (სამშ. ხუთ. შაბ.) 11½ 12½. |
| ქალთა და ბავშვთა სნეულებანი. | ექიმი-ქალი ვერბიცკა-ფირალოვისა ლ. (ყოველ დღე) 11—12. თაყაიშვილი ი. ი. (ყოველ დღე) 1—2. მელიქიშვილი ნ. მ. (ყოველ დღე) 10—1. ხუნდაძე ა. გ. (ყოველ დღე) 12—1. |
| ბავშვთა სნეულებ. | ექ. ქალი ზაქრაძე-დედაბრიშვილისა (ყოვ. დღე, გარდა ოთხ.) 1—1½ ს. მიქელაძე შ. ა. (ყოველ დღე) 12½—1. ფედოროვა ე. ე. (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. |
| ნერვ. სნეულ. და ელექტ. | ზედგენიშვილი მ. ა. (შაბათობით 10½—11. დემეთრიაძე რ. ს. (ყოველ დღე) 1—2. ფონდოევი, გ. ს. (ყოველ-დღე) 1—2 ს. |
| ყურის, ცხვ. და ყელის | ბუნიატიანცი ნ. ა. (ყოველ დღე) 12½—1½. ორემბოვსკი ნ. ს. (ყოველ დღე) 1½—2. |
| თვალის სნეულ. | მუსხელიშვილი გ. ს. (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½. |
| კან. და ვენ. | დიასამიძე ა. ნ. (ყოველ დღე) 11½—12½. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი ამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათა მანგ. Wassermann. რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; ,,606 '' 914 და წამლის შეშხაპუნება, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა მედავათიანი საფასურით. ზ. 1635



### საბურთალოზე

**მშვენიერი ლაგას,** ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიკრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს**, დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი**, თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანცი სა. ზ. 1020

### ელექტრონისა და რენტგენის ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ო მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., **გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით.** ვერა. ყორღანოვის ქ. № 20. ზ. 782

**ექიმი** კბილისა **ნინო რცხილაძე**

იღებს დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს. ოლღას ქუჩის შესახვევი № 5, სახლი შაქარაშვილისა

### ვაგზლის კერძო სამკურნალო

**გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფებისთვის.**

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

**ე. ს. ვაშაკიძე.** ყოველ დღე, შინაგან-ავადმყ. 9½ ს. 10 ს.

**ა. ნ. დიასამიძე.** ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ. კანისა და ვენერ. 11—11½ ს.

**გ. ა. პოპოვი.** ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყურ, ყელ. და ცხვ. სნეულ. 11—11½.

**ექ. ქალი იოსელიანისა** — იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 11—11½ საათ.

**ფრომბიევი.** შინაგ. ბავშვ. სნეულ. სამშ. ოთხშ. შაბ. და კვირ. 2—3 საათამდე.

**ნ. მ. მელიქიშვილი.** ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

**ფ. გომართელი.** — ყ.-დღ. შინაგ. 2—3 ს. მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური. ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

**წამლობა ,,606''-ით.** 1053

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე**

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 ს. კვირ. ავადმყ. არ იღებს. მიხაილის ქუჩა, № 3, ს. გაბაშვილისა.

**ექიმი ალ. ხოლოდაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9—2 საათ. და 5—6 საათ. გოლოვინის პრ. № 12. 1334

**ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი,** ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში. იღებს ნერვებით ავადმყოფებს 5—6 საათამდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. **იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.** 67

**ექიმი ი. ი. ბერიშვილი** სწამლობს **ხაზარდე ორგანოთა, ხთა შაქრისა და კანის ავადმყ.; გახსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. შოწამლ. სისხლს. მიიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელიზაბედ.** ქ. № 11, კიროჩნი ქუჩის ახლო, საკუთარ კანტორ. ა. პირველი. 172

**ექიმი შ. ა. მიქელაძე** იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებათ** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 საათ.—6½ საათ. კახეთის ქ. № 6.


## ახალი ამბავი

### ტფილისი

✦ **რომანოვთა გვარეულობის სამასის წლის იუბილეის** დღეს, 21 თებერვალს, წესრიგის დაცვის გამო გუშინ საკომენდანტოში თათბირი მოხდა კომენდანტის გენ.-მაიორის ჩირკოვის თავმჯდომარეობით. სხვათა შორის, დადგენილ იქმნა, იუბილეის დღეს ხალხს სიარულის ნება მხოლოდ ტროტუარებზე მისცენ. ტრამვაის ვაგონებმა გოლოვინის პროსპექტზე ამ დღეს მხოლოდ დილის 10 საათამდე უნდა იმუშაონ.

✦ ქალაქის მოურავი **ა. ი. ხატისოვი** და ქალაქის გამგეობის წევრი **გ. დ. ჟურული** გუშინ პეტერბურგს გაემგზავრნენ რომანოვთა გვარეულობის სამასის წლის მეფობის იუბილეიში მონაწილეობის მისაღებად.

✦ **მემუსიკე ნ. პ. სულხანიშვილი** ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობამ მუსიკის თეორიისა და სოლფეჯიოს მასწავლებლად მიიწვია ქართულ თეატრთან არსებულ დრამატიულ კურსებზე.

✦ **ფრენა.** მფრინავმა ბ. ს. ქებურიამ საბოლოოდ შეაკეთა ამას წინად დაზიანებული მონოპლანი და მომავალ კვირას, 17 თებერვალს, დიდუბის მოედანზე აპირობს გაფრენას

✦ ქალაქის მოურავის თანამდებობის აღსრულებას გუშინდლიდან მოურავის მოადგილე თ-დი **ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი** შეუდგა.

✦ **ტფ. გუბერნატორის** თანამდებობის აღსრულებას ვიცე-გუბერნატორი ე. ნ. პანოვი შეუდგა.

✦ **ქალაქის ღამის თავშესაფარში** წესდების ძალით ღამის გასათევად ხალხს უშვებენ მხოლოდ საღამოს 7 საათამდე. ამის გარდა ხალხს სულ არ უშვებენ, როდესაც თავშესაფარში დაწესებული ნორმა (100 კაცი) გროვდება, რის გამოც მრავალი ხალხი ამ ზამთარში გარეთ რჩება და უძილობითა და სიცივით იტანჯება. ამის გამო ტფ. პოლიცმეისტერმა ქალაქის გამგეობას სთხოვა, რომ ხალხს ამ ზამთარში მაინც მისცეს ნება თავშესაფარში ღამის გათევისა ისე, რომ წესდების ყველა მუხლის შესრულება მათთვის სავალდებულო არ იყოს.

✦ 11 თებერვალს, საღამოს 7 საათ. მ. სარქის ეკლ. ასატურივმა სიმთვრალის დროს ჯიმის ძე ნიკო შუბლში დასჭრა მ. რ. დარ. ახაროვისა დამნაშავე შეიპყრეს დაჭრილი ს არამიანცის საავადმყოფოში ჭრილობა შეუხვიეს და სახლში გაისტუმრეს.

✦ 11 თებერვალს, 6 შუადღეის 2 საათზე, გიორგი სოფრომის ძე აბულაძე მტკვარში გადავარდა. იგი გადა რჩინა მოდარაჯე პოლიციელმა. მიზეზი დახრჩობის განზრახვისა უსაქმურობა და ოჯახური უსიამოვნება ყოფილა.

✦ 11 თებერვალს, 3. 3. ცუპპას საწამლავი დაულევია. მ. მ. მიხეილის საავადმყოფოში სამკურნალო დახმარება აღმოუჩინეს. გადარჩენის იმედი აქვთ.

✦ 11 თებერვალს, შუაბაზარში დარჩო ივ. მიქელიანცმა პეტ. ივ. ღვინიაშვილს ჯიბიდან ამოაცალა 8 მ. 94 კ., დამნაშავე შეიპყრეს და ფული პატრონს დაუბრუნეს.

✦ 9 თებერვალს, პოლიციამ სხვა და სხვა უბანში 139 უპასპორტო შეიპყრო.

### საზოგადოებანი და კრებები.

✦ **მდაბიო მოქალაქეთა** რწმუნებულების კრება დღეს მოხდება **რომანოვთა გვარეულობის** სამასის წლის მეფობის იუბილეს გამო.

### სასამართლო

✦ **ტფ. ოლქის სასამართლოს სესია**, რომელიც ახალციხეს იყო წასული, გუშინ ტფილისს დაბრუნდა.

### კიევი

✦ აქ შესდგა **ქართველ მოსწავლე ქალთა წრე**, რომელსაც მიზნად დაუსახავს ქართულ მწერლობის შესწავლა.

### ქ უ თ ა ი ს ი

✦ **ქალაქის გამგეობამ**, თანახმად სასკოლო კომისიისა და მოწვეული პედაგოგების დადგენილებისა, წარუდგინა დასამტკიცებლად სახალხო სკოლების პირველი რაიონის ინსპექტორს მასწავლებელი სიმონ მჭედლიძე, რომელმაც გ. აბვლედიანის შემდეგ საუკეთესოდ დაიჭირა საკონკურსო გამოცდა. ბ-ნს მჭედლიძეს გაუთავებია სამასწავლებლო სემინარია, აქვს საშინაო მასწავლებლის (домашній учитель) მოწმობა და ამ ჟამად აბაშის ორ-კლასიანი სასწავლებლის გამგედ ითვლება.

✦ **ქალაქის გამგეობამ** უკვე გაათავა მოლაპარაკება ვლადიმერ წერეთელთან და ყუფარაძე-ტყეშელაშვილთან სასწორის მოედნის ზემოდ მდებარე მათი ადგილების მიყიდვის შესახებ. ბ-ნს წერეთელს ქალაქის გამგეობა მოურიგდა 10,000 მანეთად, ბ-ნთ ყუფარაძესა და ტყეშელაშვილს 4,000 მანეთად.

✦ **შავი-ქვის მრეწველთა საბჭომ** ცენტრალურ სადგურისათვის შეიძინა ახალი დიდ-ძალიანი მანქანა „დიზელი". ღირებულება ამ მანქანისა 6 ათას მანეთამდეა. ამ მანქანის საშუალებით საბჭოს შეეძლება გაცილებით მეტი ელექტრონული განათება მიაწოდოს ჭიათურას და აგრეთვე წყალი აიყვანოს თითქმის ყველა მაღალ მაღნებში.

✦ შავი-ქვის მრეწველთა საბჭოს ტეხნიკური განყოფილების ინჟინერმა წარმოადგინა ანგარიში ამ ხანად სრულიად დამთავრებული სამთო ტეხნიკურის სკოლის შენობისა. შენობა დაჯდა 18,670 მან. 21 კ.

✦ შავი-ქვის მრეწველთა საბჭომ გადასწყვიტა **საავადმყოფოს გაფართოება.** ახლანდელ შენობას მეორე სართული უნდა დაედგას.

✦ 5 თებერვალს ღამის 12 საათზე ქუთაისის საგუბერნიო საპყრობილეში ციხის უფროსის თანაშემწეს ბ. ბელიაევს **აღმოუჩენია ხვრელი**, საიდანაც კატორღელ პატიმრებს გაქცევა უპირებიათ.

✦ 9 თებერვალს ქუთაისის საოლქო სასამართლოში გაირჩა **ონისიმე სირბილაძის საქმე.** მას ბრალდებოდა სტრაჟნიკი ბოჭორიშვილის მოკვლა. სასამართლომ სირბილაძე უდანაშაულოდ იცნო და გაამართლა.

✦ ქუთაისის გუბერნიის **წვრილი კრედიტის ინსპექტორი** ბ-ნი ჯაფარიძე გაემგზავრა შორაპნის მაზრაში წვრილი საკრედიტო დაწესებულებების სარევიზიოდ.

✦ **რომანოვთა გვარეულობის** 300 წლის მეფობის დღესასწაულების დროს გუბერნატორის თაოსნობით გაიმართება ხელის მოწერით სადილი, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ მოხელენი და კერძო პირები.

✦ 21 ამ თვეს ღულაძის მოედანზე გაიმართება **მოსწავლეთა ალლუმი,** რომელსაც დაესწრებიან ყველა სასწავლებლების მოწაფენი.

✦ **ცეცხლი თეკლათის მონასტერში.** პარასკევს, 1 თებერვალს დილის ათ საათზე, როცა იგუმენია მთელი კრებით წირვაზე იმყოფებოდა, ამ დროს გაუჩნდა ცეცხლი ერთი ავადმყოფ მონაზონის სენაკს.

ცეცხლი მალე გაძლიერდა, ხელს უწყობდა ქარი და ის იყო უახლოვდებოდა მონასტრის დიდს ეკლესიას, მაგრამ იშვიათმა შემთხვევამ და იგუმენია ნინოს მხნეობამ და თავგანწირულობამ იხსნა მონასტერი. ცეცხლი მეორე მარეზე გადავიდა.

თვითონ იგუმენიას რამდენიმე ადგილას აქვს ამომწვარი კაბა. ერთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მონაზონს თვალი წაუხდა. მალე მაზრის უფროსი, ბოქაულებით მოვიდენ, და შესაფერი განკარგულება მოახდინეს. ზარალი შვიდი ათას მანეთს აღემატება. დაიწვა ცხრა სენაკი და მთელი საკრებულოს სამზარეულო. 20-ზე მეტი მონაზონი უბინოთ და სრულიად უსახსროთ დარჩა. დიდი დახმარება გაუწიეს მონასტერს ალექსი ბერმა და სენაკის ვაჭრებმა.

**შეცდომის გასწორება.** კვირის ნომერში დაბეჭდილი იყო მისალოცი დეპეშა ვლ. მესხიშვილის იუბილეს გამო, რომელსაც ქვეშ ეწერა „ქალაქის თავი თავდგირიძე“. **უნდა ყოფილიყო: „ბერიძე“.**

# ტფ. ქალაქის საბჭო

**11 თებერვლის კრება**

ეს დღე იშვიათი იყო ქალაქის თვით-მმართველობის ცხოვრებაში. მოსაწყენ და თავის მომაბეზრებულ განსახილველ საგანთა სიაში შეტანილი იყო დამატებით: ქალაქის მოურავის ა. ი. ხატისოვის მოხსენება ხმოსნის იაკობ გიორგის ძის სულაბერიძის მოქმედების გამო; უკეთ ვსთქვათ, ამ დღეს ქალაქის საბჭო ასამართლებდა თავის წევრს ი. სულაბერიძეს, რომელიც წევრი იყო სარევიზიო კომისიისა.

სწორედ ამ მოხსენებით აიხსნება ის გარემოება, რომ ჯერ რვა საათი არ იყო, რომ კრების დარბაზის ქანდარა ხალხით აივსო. პრესის წარმომადგენელთა სტოლზე ხომ ტევა არ იყო.

კრება 8 საათსა და 15 წ. დაიწყო ა. ი. ხატისოვის თავმჯდომარეობით და 67 ხმოსნის თანადასწრებით. კრების დაწყებამდე დარბაზში შემოვიდა და ხმოსნის სავარძელი დაიჭირა ი. სულაბერიძემ. დარბაზში სიჩუმე გამეფდა.

ქალაქის მდივანმა მ. ა. ჯაბარმა ჩვეულებრივად დიკვანივით წაიკითხა წარსულ კრების ოქმი და შემდეგ **ა. ი. ხატისოვმა** მოახსენა კრებას ხმოსნად ნამყოფ ა. ი. **ბებუთოვის გარდაცვალების ამბავი.** საბჭომ ფეხზე ადგომით პატივი სცა განსვენებულის ხსოვნას ᲓᲐ დაადგინა: ცოცხალ ყვავილების გვირგვინით შეამკოს განსვენებულის კუბო, ქალაქის გამგეობის პირით თანაგრძნობა გამოუცხადოს მის ქვრივსუფლად და დაესწროს დასაფლავებას.

**ა. ი. ხატისოვი.** „კავკაზ“-სა და „ზაკავკაზსკაია რეჩ“-ში დაიბეჭდა ხმ. სულაბერიძის წერილები, რომელშიაც ავტორი მრავალ მხრივ ეხება ქალაქის თვით-მმართველობის ცხოვრებას და ლაქას სცხებს. ამიტომ იძულებული ვარ დაწვრილებით გადმოგცეთ ყველა ის მასალა, რომელიც ხმ. სულაბერიძის საქციელს ეხება. რასაკვირველია, გადმოგცემთ მხოლოდ ისეთს ფაქტებს, რომელსაც კავშირი აქვს სულაბერიძესთან, როგორც ხმოსანთან და ქალაქის საბჭოს სარევიზიო კომისიის წევრთან. დიდი ხანია, ხმა დადიოდა, რომ ხმ. სულაბერიძე ისეთს მოქმედებას ეწევაო, რომელიც არ შეეფერება ხმოსნის წოდებასო. ორის თვის წინად მომმართა სხვა და სხვა პირმა საჩივრით ᲓᲐ დამისახელა ი. სულაბერიძის შეუფერებელი მოქმედება. მომმართა ხმ. თ-დმა ვაჩნაძემაც: ხმ. სულაბერიძეზე ქალაქში ცუდი ხმები დადის და საქმე გამოარკვიეთო. იმ დროს რაიმე ღონის-ძიებათა მიღება შეუძლებლად ვიცანი და აი რატომ: ხმოსანი სულაბერიძე იყო სარევიზიო კომისიის იმ მცირე კომისიის წევრი, რომელსაც მინდობილი ჰქონდა ქალაქის სასალახოს რევიზია. მე იმას გარდა, რომ მიჭირავს ისეთი ადგილი, რომ საჩივრები ჩემთან მოდიოდა, ვიყავი სასალახოს შენობის საამშენებლო კომისიის თავმჯდომარე. უკეთ ვსთქვათ, ხმ. სულაბერიძე რევიზიას უკეთებდა, სხვათა შორის, ჩემს მოქმედებასაც. სასალახოს რევიზია, რომელიც მაისში დაიწყო, იმ დროს გათავებული არ იყო. რათა თავიდან ამეცილებინა სხვა და სხვა მითქმა-მოთქმა, ვითომც მე მინდოდა ი. სულაბერიძის გაძევება, როგორც რევიზორისა, ამიტომ გადავსწყვიტე, ჯერ ხმა არ ამომეღო, ვიდრე ი. სულაბერიძე და კომისიის სხვა წევრები (ხმ. ტერტეროვი და კეილი) რევიზიას არ დაასრულებდნენ. რევიზია დასრულდა და მოხსენება სარევიზიო კომისიას წარედგინა. ხმები და საჩივრები ი. სულაბერიძის საქციელის შესახებ თან და თან იზრდებოდა. 23 იანვარს ინჟ. ოლონჯანოვმა გამომიცხადა, ი. სულაბერიძემ 200 მან. გამომართვა სესხად და აღარ მიბრუნებსო. აგრედვე გადმომცა სასალახოს შენობის იჯარადარმა ვახნიანსკიმ, ი. სულაბერიძემ საქმე გამიჭირა, ფული მასესხეთ. ხმ ექიმმა პოპოვმა გადმომცა, რომ ი. სულაბერიძემ ვითომ სესხად ფული სთხოვა ქალაქის მოსამსახურეს ქავთარაძეს და დაჰპირდა, ჯამაგირს მოვამატებინებ საბჭოსაო. ეს გარემოება თვით ქავთარაძემაც დაამტკიცა, რომელიც საგანგებოდ დავიბარე. ამას გარდა ი. სულაბერიძეს ქალაქის მოსამსახურე კ. ხახანაშვილისგან 1 წლის წინად ფული უსესხნია და აღარ მიუცია. როგორც ქალაქის გამგეობის მსახურმა „დარჩომ“ განაცხადა, მისთვის ი. სულაბერიძეს 30 მან. გამოურთმევია ექიმ ზაბლუდოვსკისთვის გადასაცემად, მაგრამ მიუთვისებია. ამის გამო 30 იანვარს ქალაქის გამგეობისა და სარევიზიო კომისიის შეერთებული კრება მოხდა, რომელსაც თვით ი. სულაბერიძეც დაესწრო. კრება არ დაკმაყოფილა ი. სულაბერიძის განმარტებამ, მისი საქციელი ხმოსნისთვის შეუფერებლად იცნო და სურვილი გამოსთქვა, ი. სულაბერიძე ქალაქის საქმეებს ჩამოშორებოდა. 3 თებერვალს ი. სულაბერიძემ გადმომცა, რომ ის ემორჩილება კრების დადგენილებას და ერთი-ორის წლით ქალაქსაც სულ მოშორდება, თუმცა მის წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდება ყოველს საფუძველს მოკლებულია. 4 თებერვალს ქალაქის გამგეობისა და სარევიზიო კომისიის კრებამ მოისმინა ი. სულაბერიძის პასუხი და დაკმაყოფილდა. 5, 6 და 7 თებერვალს ახალი საჩივრები მივიღე ი. სულაბერიძის მოქმედებაზე, სხვათა შორის, სააუქციონო დარბაზის მოსამსახურის ტარაკაშევისა, რომლისთვისაც სულაბერიძეს 20 მან. გამოურთმევია და არ დაუბრუნებია. ამავე დღეს ქალაქის გამგეობამ დაადგინა, წინადადება მიეცა სულაბერიძისთვის, რათა ხმოსნობისთვის სრულიად დაენებებინა თავი, რაც სულაბერიძეს ვაცნობე, მაგრამ არ დაემორჩილა. 8 თებერვალს პირადად მეც ვურჩიე ი. სულაბერიძეს, ხმ. თავი დაენებებინა, მაგრამ მეორე დღეს მისი წერილი გამოვიდა გაზეთებში. ამას გარდა უნდა აღვნიშნო, რომ ხმები გავრცელდა და გაზეთებშიაც აღინიშნა, ვითომც სასალახოში რამე ბოროტ-მოქმედება მომხდარიყოს — ეს სიმართლეს მოკლებულია. ჩემთვის მაინც დღემდე ოფიციალურად არა გამოუცხადებიათ-რა და არც კერძოდ ყური მომიკრავს.

ა. ხატისოვის სიტყვამ მთელს საათს გასტანა.

**ხმ. ი. სულაბერიძე.** საჭიროა აღვნიშნო, რომ ჩემ მიერ ჩადენილ ვითომ ურიგო მოქმედებას კავშირი აქვს ქალაქის სასალახოს რევიზიასთან. ხმები ჩემს შესახებ ორის თვის წინად კი არ გავრცელდა, არამედ გაზაფხულიდან (მაისიდან), ე. ი. იმ დღიდან, როდესაც ჩემის წინადებით სასალახოს რევიზიის მოხდენა გადაწყდა და რევიზორთა რიცხვში მე მოვყევი. ამ ხმების გაზრდა საჭირო იყო და კიდეც გაიზარდა, რადგანაც ერთს დროს დაინტერესებულ პირთათვის გამოსადეგი იქნებოდა. და აკი მჭერ-მეტყველურად გამოიყენა დღეს ა. ხატისოვმა. დავიწყებ ქავთარაძისაგან. ის ჩემი სიყრმის მეგობარია და ფული ერთმანეთისთვის ბევრჯელ გვისესხებია. რა დიდი საქმეა, რომ ამხანაგისთვის ფული მეთხოვნა. თუ ქალაქის მოურავის კაბინეთში, სადაც ქავთარაძე დაიბარეს, სესხის აღებას ხელოვნურად ქრთამის თხოვნა დაერქმევა, აქ მე რა შუაში ვარ? მაკვირვებს საქციელი ექიმ პოპოვისა, რომელსაც მაძებარ პოლიციის როლი უკისრნია და გამონახა დარჩო, რომელსაც მე ფული გამოვართვი და ვითომ დანიშნულებისამებრ ექიმს ზაბლუდოვსკის აღარ გადავეცი. ფული დანიშნულებისამებრ გადაცემულია, რასაც ზაბლუდოვსკის ხელმოწერილი ბარათი ამტკიცებს; ამასთანავე ამ საქმეს 4 წლის ისტორია აქვს და რა დამოკიდებულებაა ჩემს ხმოსნობასთან? აქ ისიც ახსენეს, რომ ნადირეიშვილისაგან ფული ვისესხე. ამაზე მოგახსენებთ: ვისაც თქვენში ჯერ ფული არ უსესხნია, პირველად იმან მესროლოს ქვა. კ. ხახანაშვილისაგან ფული, მართალია, ვისესხე ერთის წლის წინად, დროზე ვერ მივეცი და ის ისეთი მკაცრი გამოდგა, რომ მთელი ქვეყანა შეჰყარა. რაც შეეხება კარაკაშევს, მისგან ნასესხი ფული უკვე გადახდილი მაქვს, რასაც დაამოწმებს სააუქციონო დარბაზის გამგე მ. ყიფიანი. დარჩნენ ოლონჯანოვი და ვახნიანსკი—სასალახოს აღმაშენებელი ინჟენერი და სასალახოს შენობის იჯარადარი. პირველი იძახის, ვითომ ორასი მანეთი მასესხა, მეორე კი—ვითომც რამდენჯერმე ფულს დავესესხე, მაგრამ არ მომცა. ეს საზიზღარი ცილისწამება, რისთვისაც უკვე სამართალში მივეცი, ისე, როგორც სხვა დანარჩენი ცილისმწამებელნი. განა ოლონჯანოვი ფულს მასესხებდა იმისთვის, რომ სარევიზიო მოხსენებაში ტყუვი გავაძერი? ფულს ან უბარათოდ მასესხებდა მე, მისთვის უცნობ კაცს? რაც შეეხება ვახნიანსკის, იგი ჩემს სიცოცხლეში მხოლოდ ერთხელ ვნახე 5 წამით და ახლა სახითაც კი ვერ ვიცნობ. ა. ი. ხატისოვი ამბობს, ი. სულაბერიძეს განგებ დავაცადე რევიზიის დასრულება, რათა მითქმა-მოთქმა თავიდან ამეცილებინაო. ეს სიმართლე არ არის. ჩემს შესახებ ჭორებს სწორედ მაშინ მისცეს გზა, როდესაც სარევიზიო კომისიაში ჩემი ყოფნა აუცილებლად საჭირო იყო. რევიზია ჯერ დასრულებული არ არის. დამზადებულია მხოლოდ მოხსენებანი, რომელიც ჯერ არ განუხილავს სარევიზიო კომისიას. განხილვის დროს ჩემი ყოფნა საჭირო იყო, რათა მოხსენებანი დამეცვა, რადგანაც ის ჩემი შედგენილია და მის დასაბუთება ჩემს ამხანაგებს ტერტეროვსა და კეილს არ შეუძლიანთ. შეუძლებელია, არ მოვიხსენიო ის ამბავი, რომელიც იქონია სარევიზიო კომისიისა და გამგეობის შეერთებულ კრებას (30 იანვარს), რომელმაც ჩემს შესახებ იქონია მსჯელობა. მცირე კომისიის მოხსენებას სასალახოს რევიზიის შესახებ სარევიზიო კომისია 2 იანვარს შეუდგა. ამ კრების შესახებ ცნობები, წინააღმდეგ კრების დადგენილებისა, გაზეთებში აღინიშნა: უფრო ადვილია 200,000 მ. მოგება, ვიდრე პრესას რაიმე გამოაპარო. გაზეთებში გამოქვეყნება, რასაკვირველია, დაინტერესებულ პირთ არ ესიამოვნათ, რადგანაც ნათქვამი იყო, რომ სასალახოს შენობის აგება წესიერად არა სწარმოებსო. ამის შემდეგ ასტყდა ალიაქოთი. მოინდომეს, მოხსენება აუცილებლად გაებათილებინად და სულ აღარ განეხილათ, მაგრამ ვერ მოახერხეს. გაზეთებში მოთავსებულ ცნობების ავტორადაც მე დამსახეს. შემდეგ კრებაზე სარევიზიო კომისია მოხსენებას გულცივად მოეკიდა ეტყობოდა, რაღაც მოხდა. ოლონჯანოვი თვითმმართველობის შენობაში ხშირ-ხშირად სჩანდა. ერთხელ ხმ. მ. ზ. ქანანოვს განზრახვა ჰქონდა, რამდენიმე ხმ. თანადასწრებით ოლონჯანოვისთვის მოხსენება წაეკითხა და შინაურულად საქმე მოეგვარებინა, მაგრამ განზრახვა დროზე ჩავშალე. ინტრიგებმა ჩქარა თავი იჩინა. დაფაცურდა ა. ხატისოვი და იპოვა საჩივრები ჩემს მოქმედებებზე და განსახილველად წარუდგინა 30 იანვრის კრებას, როდესაც უნდა დასრულებულიყო მოხსენების წაკითხვა და უნდა შესდგომოდნენ არსებითად მის განხილვას. 30 იანვრის კრების დადგენილებას დავემორჩილე, რადგანაც იმ ხანად სხვა გზა არ მქონდა და გამსრესდნენ. მინდოდა დრო მომეგო. ა. ხატისოვი თავის მხრივ დამპირდა, სადაც გინდა ადგილს მოგიხერხებ, თუ გინდა სპარსეთში გაგიკეთებ საქმესაო. ცხადად ჩანდა, რამდენად დაინტერესებული იყო, რომ მე ქალაქიდან სადმე შორს გადავესახლებინე. აქ ეინტერესებათ, გაზეთებში წერილი რად მოვათავსე. მიზეზი შემდეგია: 8 თებერვალს ქალაქის მდივანმა ა. მ. ჯაბარმა დამიბარა თავის კაბინეთში, სადაც ა. ხატისოვი შემოვიდა და მირჩია ხმოსნობისთვის თავი დამენებებინა. მე ამაზე არ დავთანხმდი. მაშინ ნამდვილ ინკვიზიციას მიმართა: მითხრა, დღეს გუბერნატორთან ვიყავი და შენთან ისე დამაბარა, რომ თუ ნებით არ დანებებ თავს ხმოსნობას, ხვალ დილის 10 საათზე მეფის მოადგილესთან ვიქნები და შუამდგომლობას აღვძრავ, რათა ქალაქის თვითმმართველობიდან ადმინისტრატიულის წესით გაგდევნოსო. მე თვით მაშინვე გუბერნატორთან წასვლა მინდოდა, მაგრამ ა. ხატისოვმა გამაფრთხილა, არ მიგიღებს არასცალიანო. ამის შემდეგ როდესაც ა. ხატისოვმა კიდევ მირჩია ხმოსნობისთვის თავის დანებება, მე აღვუთქვი, პასუხს საღამოს მოგცემ მეთქი. საღამოს უარი შევუთვალე, ხოლო ამ დღეს წერილები დავწერე გაზეთებში, რათა მეორე დღეს, 9 თებერვალს გუბერნატორს წაეკითხა მეფის მოადგილესთან მისვლამდე და თავისი განზრახვა ემის განდევნის შესახებ შეეჩერებინა. აი ყველა ის, რის თქმაც შეიძლება დღეს. დანარჩენზე ცილის მწამებელნი სასამართლოში გამცემენ პასუხს. დასასრულ უნდა ვთქვა, რომ სრულებით არავის არ დაუმტკიცებია, რომ ქრთამი ამეღოს. ან კი რა მოსატანია ქრთამი? რისთვის უნდა მოეცათ ჩემთვის ქრთამი, რომელი გავლენიანი ხმოსანი მე ვარ. ცოტანი არიან, რომ საზოგადო მოღვაწის სახელს ატარებენ და ჩემზე უარეს საქმეს სჩადიან? მათგან იმით განსხვავდები, რომ მე ვსესხულობდი 10, ან 100 მანეთს, ისინი კი 10,000, 100,000 და 200,000 მან. სესხულობენ. დიახ, ჩემი ბრალი მხოლოდ ის არის, რევიზორი ვიყავი საამშენებლო კომისიის მოქმედებისა. უკეთ ვსთქვათ, კომისიის თავჯდომარის ა. ი. ხატისოვისა და ინჟ. ოლონჯანოვისა, რადგანაც საამშენებლო კომისია არ არსებობს ნამდვილად და მის მაგიერობას ერთი კაცი—ა. ხატისოვი—ეწევა.

სიტყვამ საათ-ნახევარს გასტანა.

**ა. ი. ხატისოვს** მცირე განმარტება შეაქვს ი. სულაბერიძის სიტყვის ზოგიერთს ადგილში და განაგრძობს: რაც შეეხება ი. სულაბერიძისთვის ადგილის შოვნას სპარსეთში, ეს გამოწვეული იყო არა იმით, რომ იგი უექველად ქალაქიდან გამეძევებინა, როგორც ჩემთვის არა სასიამოვნო პირი, არამედ იმით, რომ დარწმუნებული ვიყავი მაშინ, რომ ი. სულაბერიძე თავის ახალგაზრდულ გამოუცდელობით სწორე გზას გადასცდა, ფულის გიჟურ ძიებაში შეუფერებელი საქციელი ჩაიდინა, რომლის სყიდვაც კიდევ შეეძლო. მსურდა, ი. სულაბერიძეს პატიოსნურის გზით ფული ეშოვა, აუარებელი ვალი გაესტუმრებინა, მძიმე შრომით დანაშაული გამოესყიდნა და საზოგადოებაში გასუფთავებული დაბრუნებულიყო. ამას გარდა თვით ხმოსნებმა, მათ შორის პ. გოთუამ, ს. ქრელაშვილმა და გ. ჟურულმაც მთხოვეს, სპარსეთში მისთვის ალაგი მეშოვნა. მეც შევასრულე მათი თხოვნა და თავ. პ. თუმანიშვილს, რომელიც სპარსეთში ხე-ტყეს აწარმოებს, მოველაპარაკე. ხმოსნებმა მადლობა გადამიხადეს. თქვენ (მიუბრუნდება პ. ა. გოთუას), პართენ ალექსანდრეს ძევ, კიდეც-მითხარით: თქვენ ნამდვილი მამა ხართ ხმოსნებისათვისაო.

**ხმ. შ. გ. ალექსი-მესხიშვილი** ურჩევს კრებას, დაუყოვნებლივ გამორიცხოს ი. სულაბერიძე ხმოსნობიდან, რადგანაც მისი თავის მართლება უსაფუძვლოდ მიაჩნია. ამას გარდა ითხოვს, მთელი მასალა ი. სულაბერიძის შესახებ გადაეცეს საბჭოს საიურიდიო კომისიას და თუ იმ მასალის მიხედვით შესაძლებელია ი. სულაბერიძის მიცემა სისხლის სამართალში, მაშინ საბჭო ასეც მოიქცეს.

**ხმ. ი. ხუნუნცივ,** სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე, თხოულობს ი. სულაბერიძის გამორიცხვას სიიდან, რადგანაც მისი საქციელი არა საკადრისად მიაჩნია იმისდა მიუხედავად სასამართლოში თავს გაიმართლებს თუ არა ი. სულაბერიძე. ამას გარდა საჭიროდ მიაჩნია მცირე კომისიის მოხსენება, რომლის შედგენაშიაც ი. სულაბერიძე იღებდა მონაწილეობას, დაიბეჭდოს და ისე განიხილონ თუ გინდ თვით ი. სულაბერიძის თანადასწრებით.

**ხმ. გოთუას** დამტკიცებულად არ მიაჩნია ის ბრალდება, რომელიც ი. სულაბერიძის წინააღმდეგ არის წამოყენებული და საჭიროდ სთვლის დამატებით გამოძიებას. ამიტომ მისის აზრით ეს საქმე საბჭომ ჯერ არ უნდა გადასწყვიტოს და უნდა გადასცეს ცალკე კომისიას, ან პირველ უბნის ამომრჩევლებს, სადაც იგი აირჩიეს. მცირე კომისიის მოხსენების დაბეჭდვას და ხმოსანთათვის დაგზავნას აუცილებელ საჭიროებად სთვლის, რადგანაც ეს მოხსენება შემთხვევით გადაუთვალიერებია მას და მასზე ძლიერი შთაბეჭდილება მოუხდენია.

**ხმ. შ. ალექსი-მესხიშვილი** სცვლის თავის წინადადებას და საწინააღმდეგოს არა ჰხედავს-რას, რომ საქმე ჯერ-ჯერობით ცალკე კომისიას გადაეცეს განსახილველად.

**ხმ. სულხანოვი** ურჩევს საბჭოს დაადასტუროს სარევიზიო კომისიისა და ქალაქის გამგეობის შეერთებულ კრების (30 იანვრის) დადგენილება.

**ხმ. ი. ხ. ჯაბადარი.** შემომაქვს ახალი წინადადება: საკმარისად მიაჩნია თუ არა საბჭოს შეკრებილი მასალა ამა თუ იმ დადგენილების გამოსატანად.

საბჭომ ხმის უმეტესობით მასალა საკმარისად იცნო.

რადგანაც ქალაქის საბჭოს საქალაქო დებულების ძალით ნება არა აქვს ხმოსანი თავის ნებით დაითხოვოს (ეს უფლება ეკუთვნის მხოლოდ ადმინისტრაციას), ამიტომ კენჭი უყარეს შემდეგს წინადადებას: საბჭო ადასტურებს სარევიზიო კომისიისა და ქალაქის გამგეობის შეერთებულ კრების (30 იანვრის) დადგენილებას და სურვილს გამოსთქვამს, ი. სულაბერიძემ [illegible] თავი დაანებოს.

საბჭომ 42 ხმით წინააღმდეგ 1 ხმისა წინადადება მიიღო.

# ვლ ალექსი-მესხიშვილის იუბილეის გამო

## საიუბილეო კომიტეტის მიღებული მისალოცი დეპეშები:

**აქსტაფა:** ტფ. გუბერ. თავ.-აზნ. წინამძღოლ აფხაზისაგან. **პეტერბურგი:** ჩხენკელი, გაგექკორი და ჩხეიძისაგან. **ახალსენაკი:** წ.-კ. გ. საზ. გამგეობისაგან. **ყვირილა:** წ.-კ. გ. საზ. გამგეობისაგან. **ხონიდან:** ეფროსინე ქიქინაძისაგან. **ტფილისი:** არაქსიანისაგან. **ქუთაისი:** სამეურნეო სკოლის მოწაფეთაგან. **გორი:** თავ.-აზნ. წინამძ. თანაშემწე თ-დ ერისთავისაგან. **ტფილისი:** ღოღაძისაგან. **ქუთაისი:** ქართულ მომღერალთა საზოგადოების თავმჯ. ჩიმაკაძისაგან. **ქუთაისი:** რეალურ სასწ. მოსწავლეთაგან. **ყვირილა:** ოლხოვსკისა და სხვათსგან. **ქუთაისი:** კლასიკურ გიმნაზ. მოწაფეთაგან. **ზნაკევი:** ბენია ჩხიკვიშვილისა და სხვათაგან. **წესი:** საზოგადოებისაგან. **კავკავი:** ადამ ფორაქიშვილისაგან. **ტფილისი:** ებრაელთა დრამატიულ წრისაგან. **ქუთაისი:** საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისგან. **ტფილისი:** მომღერალ ცხომელიძისაგან. **სიღნაღი:** ყაზბეგისა და სხვათაგან. **აბასთუმანი:** მეცხოვრეთაგან. **ტფილისი:** ვ. ოსტროვისაგან. **ოჩემჩირი:** წ.-კ. გ. საზ. გამგეობისაგან. **ალდაში:** რედაქტორ მოლა-ნასრედი მამედყული ზადესაგან. **ტფილისი:** არტისტიულ საზოგადოების საბჭოს მმართველობისაგან. **ნი:** დუტუ მეგრელი[illegible] **თაისი:** „იმერეთის“ [illegible]გან. **ახალციხე:** ქართველობის [illegible]ლით კვალია[ბ]ვილისაგან. **ტფილისი:** პარიკ კაჯაროფუზოვისაგან. **ჯულფა:** ქართველთა სახელით ა. მაჭავარიანისაგან. **სოხუმი:** ფრანგულიანცისაგან. **ზუგდიდი:** აკაკის სახელობის სამკითხველოს გამგეობისაგან. **ტფილისი:** ალექსანდრე ბუზნისაგან. **ცხინვალი:** სასცენო საზოგადოებისაგან. **მუხრანი** ს. ქინქველაშვილისაგან. **სამტრედია:** თოფურიასა და სხვათაგან. **ხოლოლაკი:** გიორგი შუმანისაგან. **შილდა:** საზოგადოებისაგან. **სიღნაღი:** წ.-კ. გ. საზოგ. გამგეობისაგან. **ხონი:** სასოფლო სემინარიის მოწაფეთაგან. **იურიევი:** ქართველთა სათვისტომოსაგან. **ქუთაისი:** სუგისა და ონისიმისაგან. **ერევანი:** ჟენერ ჩხეიძისაგან. **ბათომი:** რუსის თეატრის მსახურთაგან. **ალავერდი:** ქართველობისაგან. **ტუაფსე:** ქართველ საზოგადოებისაგან. **პეტერბურგი:** მსახიობ სავინასაგან. **აქსტაფა:** თ-დ პავ. თუმანიშვილისაგან. **პეტერბურგი:** სათათბიროს დეპუტატ გელოვანისაგან. **ხარკოვი:** მ. სოლენსკისაგან. **მოსკოვი:** ვახტანგ მელიშვილისაგან.

(შემდეგი იქნება)

# მგოსანი ვაჟა-ფშაველა

## და მისი ოცდა თხუთმეტის წლის ოლვაწეობა.

რომელმა ქართველმა არ იცის, ვინ არის ვაჟა-ფშაველა! სადაც იხსენება სახელი ჩვენი მწერლობის დედა-ბოძთა—ილიასა და აკაკისა, იქ შეუძლებელია ვაჟას სახელიც არ იქმნეს მოხსენებული. ვაჟას იცნობს და ეცნობა როგორც ახლად ან-ბანის სწავლას დაწაფებული, ისე სწავლა-დამთავრებული ქართველი; მის ნიჭს ღირსეულის პატივისცემით იხსენიებენ, ვაჟას შემოქმედებითს ნიჭზე კითხულობენ ლექციებს, ვაჟას მონაწილეობით გამართულს საღამოებს განსაკუთრებულის სურვილით ეტანება ქართველი საზოგადოება და სხვა.

ამ მხრით ღირსეული ხვედრი ერგო საყვარელს მგოსანს.

და მართლაც არ შეიძლება დიდის სიყვარულით არ ეპყრობოდეს კაცი იმ ადამიანს, ვინც ასეთის მშვენიერებით შეაკავშირა მთისა და ბარის სულის სწრაფვა, ვინც ნათლად გადაგვიშალა მთის შვილთა ფაქიზი გული, გვამცნო იმის ვითარება, გადმოგვცა „მთათა ფიქრები“, იმ მთათა, რომელთაც შეგვძინეს ჩვენ ჩვენი სასიქადულო ყაზბეგი და სამნი ძმანი რაზიკაშვილები—ვაჟა, ბაჩანა და თედო.

მე კრიტიკოსის როლს არ ვკისრულობ, რადგან ჩემის წერილის საგანი სულ სხვა რამ არის. ვიტყვი მხოლოდ, რომ ვაჟა ისეთი მგოსანია, რომელიც მარტოოდენ სიამოვნებას კი არ აგრძნობინებს მკითხველს, სიამოვნებასთან ერთად ჩააფიქრებს, შეაჩერებს, აჩვევს აზროვნებას... რომელი შეგნებული მკითხველი არ ჩაუფიქრებია იმის „გოგოთურ და აფშინა“-ს, „სტუმარ-მასპინძელს“, „გველის მჭამელს“ ᲓᲐ მრავალს მის თხზულებათ, რომელნიც სავსენი არიან არა მარტო უმაღლესის პოეზიით, არამედ ამასთანავე აზრთა სიღრმავით, თავისებურის მშვენიერებით; ვის არ აუტოკებს გულს მისი „ბახტრიონი“, რომლის დასაწყისშიაც ასეთის მხურვალეს გრძნობით შეჰღაღადებს მგოსანი ძვირფას სამშობლოს ქედებს:

„მოგესალმებით, ქედებო,
მომაქვს სალამი გვიანი,
ჩემსამც სამარეს ამკობენ
თქვენი დეკა და ღვიანი“.

რამდენი სიყვარულია გამოთქმული ამ ოთხ სტრიქონში!!.

ამ ქედების, ამ მთების ᲓᲐ მის შვილთა სიყვარული ასულდგმულებს მგოსანს.

ჯერ ისევ შეგირდობის დროსვე დაიწყო წერა ვაჟამ. მისი პირველი წერილი 1877 წელს დაისტამბა გაზეთ „დროება“-ში ფშავიდან კორრესპონდენციის სახით, სადაც ავტორს აწერილი აქვს იქაურ მასწავლებლის ურიგო ყოფა-ქცევა (ამ წერილს კორრექტურული შეცდომით აწერია ლ. ზ. რ.—უნდა იყოს ლ. რ. ზ.) ამას მოჰყვა „დროებაში“ [illegible]ვე“ სოფლის სურათი და სხვა წერილები 1877—79 წლებში. იქვე დაიბეჭდა იმის „ბუჩუკურის ქუდი“, ხოლო 1880—81 წლებში ჟურნალ „იმედში“ დაიბეჭდა ლექსები—სათაურით: „დროება“ და „ყარსის [illegible]ლოს“, რომელნიც [illegible] კრებულში არ არიან შეტანილნი.

როგორც ზემოთაც ვსთქვეთ, ვაჟა მწერლობას შეუდგა 1877 წლიდან და იმ დროიდან მოყოლებული დღემდი ერთგულად ემსახურება თავის ქვეყანას. არ არის და არც ყოფილა ჩვენში არც ერთი დრო-გამოშვებითი პროგრესიული გამოცემა, რომელშიაც ვაჟას მხურვალე მონაწილეობა არ მიეღოს და თვისის ღვთაებრივ ნიჭით არ დაემშვენებინოს იგი.

ვაჟა-ფშაველათი ვამაყობთ ჩვენ, მისი ქვეყნის შვილები, ვაჟა გვიყვარს, მოწიწებით ვიხსენიებთ მის სახელს, ტკბილად ვკითხულობთ მით ნაწარმოებს.

და ამისთვის გავცილდებივართ...

დრო არის, რომ ეს ჩვენი მართალი წრფელი სიყვარული საქმით ვუჩვენოთ მგოსანს, დავუმტკიცოთ, რომ ჩვენ მის უდიდებული პიროვნებისა ღირსი შვილები ვართ ღირსეულ, მოამაგე მამისა.

აი, ამისთვის მსურს ჩემი აზრი გავუზიარო ქართველ საზოგადოებას, რომელიც იმედი მაქვს, დღეს მაინც ამოიღებს ხმას ᲓᲐ სიჩუმის წყვდიადით არ დაჰფარავს სასიქადულო მგოსნის მარადიულ[illegible] ღვაწლს.

საჭიროა ვაჟა-ფშაველა ნივთიერად უზრუნველ-ყოფილი იქნეს.

შესაძლებელია სთქვან—ნახევარ საუკუნეა ერლის სამადლ ობლ [illegible] დათ დადელიო. ვაჟამაც მოგვცადოს კიდევ თხუთმეტ წელიწადს და მერე ვიქეიფოთ იმის იუბილეო.

ეს ასე არ უნდა იყოს! თუ ვისმესთვის საჭიროა 25—30 წლის იუბილე, ეს უნარეს ყოვლისა მწერლისთვის უნდა იყოს დადგენილი, რადგან ამ ასპარეზზე მოღვაწენი იშვიათს შემთხვევაში მიაღწევენ ხოლმე ამ ხანს.

ამ ოცის წლის განმავლობაში მხოლოდ სამმა მწერლის იუბილე იდღესასწაულ ქართველობამ: რაფიელ ერისთავისა, აკაკისა და ეკ. გაბაშვილისა, სამაგიეროდ დიდი ამბით დავამარხეთ ილია, ყაზბეგი, ნინოშვილი, გიორგი წერეთელი, ასიკო ცაგარელი და ბევრი სხვა დასაფლავებაში ჩვენ უფრო მდიდრები ვართ ამ ჩამოვრჩებით...

მართალი, ძველ დროში, როდესაც უჩირი ყოფილა როგორც ჩვენში, ისე უფრო დაწინაურებულ ქვეყნებში, მაგრამ დღეს მხოლოდ

ჩვენში შეიძლება მოხდეს ეს, რომ ისეთი დიდი მგოსანი, როგორიც ვაჟა ფშაველაა, არა თუ უზრუნველყოფილი არ არის, დღეს ნივთიერ ნაკლულოვანებას განიცდის და ხმას არავინ იღებს.

ვაჟას შეეძლო უზრუნველ ეყო თავისი თავი, ცოლ-შვილი; ამისთვის ჯანიც შესწევდა და სწავლაც; მან კი ქვეყნის სამსახურს ანაცვალა საკუთარი ბედნიერება, შეიყვარა მშობელ ერს, მას ამკობს, უმღერის ისე, ვით მიჯნური კეკლუც სატრფოს.

მე მივმართავ მგოსნის სატრფოსამშობლოს, მივმართავ ვაჟას პატივისმცემელთ, მივმართავ წერა-კითხვის საზოგადოებას და განსაკუთრებით ახალგაზრდა საქართველოს დაუყოვნებლივ შეუდგნენ იმის მოგვარებას, თუ რაგვარად უზრუნველვყოთ ჩვენი საყვარელი მგოსანი. ბატონებო, თქვენც კარგად მოგეხსენებათ, მწერალი იმიტომ კი არა სწერს, რომ მადლობასა და ქება-დიდებას ელოდებოდეს ვისგანმე. მაგრამ თუ მწერლის ცხოვრება ისე არის მოწყობილი, რომ მას ყოველს ნაბიჯზე წინ ეღობება ათასგვარი გაჭირვება, იგი ვერ შექმნის ისეთს საგანძურს რასმეს, რითაც არა მარტო მშობელი ერი, არამედ მთელი კაცობრიობაც ისარგებლებდა. ვაჟამ ბევრი რამ დაუფასებელი განძი შესძღვნა ჩვენს მწერლობას და აქ მას ხელი შეუწყო სწორედ თავისმა უდიდესმა სულიერმა ძალამ—სხვა მის პირობებში ჩაჰკლავდა, დაახშობდა ცით ბოძებულს ნიჭს. ნათქვამია—შინ რომ ცოლ-შვილი სიმშილით გიწყდებოდეს, გარეთ ტაბლას რა ხელი გაქვსო.

ნუ დავივიწყებთ, რომ მგოსანს, ვინც უნდა იყვეს იგი, აქვს თავისი საკუთარი, კერძო მოვალეობა, თავისი საყოველდღეო ზრუნვა, თავისი „მე“, რომელსაც უოველთვის ვერ უკუაგდებს, გულგრილათ ვერ აუვლის გვერდს. ესეც რომ არ იყოს, სულ სხვაა ოცის წლის ჭაბუკი და სხვაა ამდენის ხნის მოამაგე, რომლის სულსა და გულს ქარსავით ნელ ნელა ღრღნის ის უხილავი ძალა, რასაც ფიქრი და ზრუნვა ჰქვიან.

მგოსანმა რომ უარჰყოს თავისი საკუთარი „მე“, ჩვენ ვერ ავუვლით გვერდს ვაჟას საარსებო საკითხს, რადგან უზრუნველ ყოფა ვაჟასი უზრუნველ-ყოფა იქნება ჩვენის პოეზიისა.

ამიტომ ამ ჩემის წერილით მოვუწოდებ ქართველ შეგნებულ საზოგადოებას, რათა შეუმსუბუქონ მძიმე ტვირთი დიდს მგოსანს და საშუალება მისცენ, უფრო გულდასმით გაშალოს მთის არწივმა ვაჟამ თავისი ძლიერი ფრთა ჩვენდა სამაყოდ.

**განდეგილი.**

8 თებერვალი 1913 წ.

P. S. ვთხოვ ყველა ჩვენს რედაქციებს გადაბეჭდონ თავიანთ პატივცემულ გამოცემებში ეს ჩემი მოწოდება. **გ.**

# მეფის მოადგილის
## წერილი კავკასიის ოლქის მზრუნველიან.*)

ამისთანა ძირითადი ტიპი მასწავლებლებისა ორია. ერთიც და მეორეც უარყოფითი თვისებებით წარმოადგენენ ნაყოფს მოვალეობის შეგნებას უილაჯობისა და უმწეობისას. კერძო თვისებათა მიხედვით ამგვარი მასწავლებელნი ანა სცდილობენ მოსწავლეთა შორის სახელის მოპოვებას, მავნებელ გულკეთილობით მათ ფეხქვეშ ეგებიან, ანდა მოსწავლეთა მიმართ იჩენენ ფორმალისტობას პირდაპირი დანიშნულების და მოვალეობის დავიწყებით და ყურადღებლობით.

პედაგოგის ტიპი, რომელიც სახელის მოპოვებას სცდილობს და მოწაფეებს ულირსად ეგება ფეხებში, წარმოადგენს უფრო მავნებელ ელემენტს, რომელსაც სკოლის ცხოვრებაში გახრწნილება შეაქვს. ამ მხრივ, სრულის კმაყოფილების გრძნობით აღვნიშნავ, რომ თქვენი ადმინისტრაციის მხრივ მიღებული იყო ზომები ამგვარ პედაგოგების ჩამოშორებისათვის.

მაგრამ არანაკლები ვნება მოაქვთ ფორმალისტ-მასწავლებლებს. მათში დაბუდებულია სათავე სამწუხარო მოვლენისა—სკოლისა და ცხოვრების დაშორებისა, განკერძოებისა. და მათშივეა აგრეთვე დაბუდებული იმ მუდმივ უკმაყოფილების თესლი, რაც ხშირად აღმოცენდება ხოლმე პროფესიონალ პედაგოგებსა და მშობელთა წრის შორის. აღზრდის საგანი ფრიად რთული და ფრიად ძნელია. მას უნდა მიუდგეს კაცი არა თავმომწონე ქედმაღლობით და ზერელე რწმენით, რომ წიგნებში ამოკითხულ მეთოდების შეთვისება საკმარისია პედაგოგის მოვალეობის და დანიშნულების შეგნებისათვის. ამ საქმეს უნდა მიუდგეს კაცი მოწიწებით, სიდინჯით და გულისხმიერებით. პროფესიონალი პედაგოგი ღრმა შეგნებით უნდა იყოს გამსჭვალული, რომ მისთვის საჭიროა ფართოდ გამოყენება იმ წრის მასალისა, საიდანაც არის გამოსული მოსწავლე, იმ პირობების შესწავლა, რაშიაც უხდებოდა მოსწავლეს სკოლის გარეშე ცხოვრების გატარება, რათა სავსებით გაამუქოს თავისი მოქმედება-მოღვაწეობის ასპარეზი.

ამ მიზნის მისაღწევად, ჩემის განკარგულებით, დაარსდა მშობელთა წრეები. ამით მხედველობაში მქონდა, შემექნა ორგანიზაცია, რომლითაც სამოსწავლო მთავრობას ფართოდ უნდა ესარგებლნა იმ მიზნის მისაღწევად, რომელიც საფუძვლად უდევს სკოლას.

მშობელნი, უმეტეს შემთხვევაში, არ არიან აღჭურვილნი სამეცნიერო და სამეთოდიკო ცოდნით, როგორც პროფესიონალი პედაგოგები. ამისთვისაც მათი მსჯელობა საპედაგოგიო სხვა-და-სხვა ზომებზე მცდარია. მაგრამ ამასთან ერთად, მშობლებს ხელთა აქვთ ისეთი დაუფასებელი მასალა პედაგოგიკისთვის მოსწავლე ახალგაზრდობის კერძო ინდივიდუალურ ცხოვრებისა, რომელიც მასწავლებელთა პერსონალისთვის ხშირად შეუმჩნეველი რჩება, ჯერ ერთი იმისთვის, რომ პედაგოგის შესწავლა მოწაფეთა ცხოვრებისა განისაზღვრება გაკვეთილების საათებით; მეორეც ისა, რომ პედაგოგი ტრიალებს კლასში, და იქ ჰკრებს მასალას; კლასი კი წარმოადგენს კოლექტიურ ერთეულს.

ამიტომ სწავლა-აღზრდის საქმეში მშობელთა მონაწილეობას, არ ეძლეოდა მთავარ ხელმძღვანელის ხასიათი. პასუხის-მგებელ პატრონად სწავლა-აღზრდისა დარჩენილია ისევ სამოსწავლო მთავრობა. მაგრამ სამოსწავლო პერსონალს ვალად აწევს სათუთად მოეპყრას და მხედველობაში მიიღოს ცხოვრების ის ნაკადები, რომელიც შეუძლიან მოაწოდონ მშობელთა წრეებმა, და რომელიც პედაგოგისთვის სკოლის კედლებში შეუმჩნევლად რჩება. საქმის ამგვარად დაყენებას, რაც უმთავრესად არის დამოკიდებული სწავლა-აღზრდის ხელმძღვანელთა ტაქტზე და უნარზე, მოჰყვება იმ ანტაგონიზმის გაუქმება, რაც ეხლა შემჩნეულია მასწავლებელთა და მშობელთა წრეებს შორის; ამ ორგანიზაციებში სკოლა იპოვნის მცნე და სასარგებლო თანამშრომლებს.

(შემდეგი იქნება)

*) იხ. „სახ. გაზ.“ № 820.

## „სახალხო გაზეთის“ კანტორა

**ახალ ხელის-მომწერთა საყურადღებოდ** კვლავ აცხადებს, რომ **იანვრის ნომრები აღარ მოეპოვება.** ამიტომ ამ ხელის-მომწერთა მოთხოვნას ვერ დააკმაყოფილებს და იანვრის ნომრებს ვერავის გაუგზავნის.

# სასამართლო

**ვარლამ მგალობლიშვილის საქმე.**

ტფილისის ოლქის სასამართლოს მეორე განყოფილებაში, 11 თებერვალს გაირჩა საქმე აზნაურის ვარლამ მიხეილის ძე მგალობლიშვილისა, რომელსაც ბრალად ედებოდა კნ. ნინო ივანეს ასულის ერისთავისადმი მუქრის წერილების მიწერა.

საბრალმდებლო ოქმში ნათქვამია: 1912 წლის 29 თებერვალს ქალაქ ტფილისში მცხოვრებ ნინო ივანეს ასულმა ერისთავისამ ფოსტით მიიღო ქართულად დაწერილი წერილი, რომელზედაც გამოსახული იყო რევოლვერი, ტყვიები, ხანჯალი, კუბოები და კუბოს თავები. წერილი ასე იყო ხელმოწერილი: „რევოლვერ ხანჯლის ძე კუბოშვილი“. წერილში ეწერა: „კნეინა! გთხოვ, როგორც შენმა ქმარმა დაივიწყა თავისი მოვალეობა ხალხის წინაშე, თქვენც ისე დაივიწყე იმისი სიკვდილი, თორემ თუ კარგად არ დაფიქრდებით აი რა მოგელით. სამ თებერვალს სრულდება ორი წელი თქვენი ქმრის სიკვდილის შემდეგ, და თუ რიგიანად არ მოიქცევი, იმასვე გაჰყვები უკან. იმიტომაც გაცნობებთ, რომ ჩვენ არა გვსურს თავს დავიდვათ შემთხვევითი ცოდვა, და არ გაგაფრთხილოთ—ცოდვაც იქნება—შემდეგ კი პასუხის მგებელნი არა ვართ. წერილი მიიღეთ და ნუ დაივიწყებთ ხალხს ცოტათი მაინც, ე. ი. გლეხკაცობას“.

ამ წერილის მიღების შემდეგ კნ. ერისთავთან მივიდა მისი ბაღისა და სახლის მოიჯარადრე ვარლამ მგალობლიშვილი. ამ დროს კნ. ერისთავთან იყვნენ მისი დედა კნ. მარიამ რუსიშვილისა და ქეთევან რუსიშვილისა, ბიძაშვილი თამარ, თ-დ რევაზ ერისთავი და მისი შვილები. მასწავლებელი აპოლონ ზალდასტანიშვილი. ამათ კნ. ერისთავისამ უამბო წერილის ამბავი, და, სხვათა შორის, სთქვა, რომ აფურთხებს ასეთ წერილებს. მგალობლიშვილმა სიცილით განუმარტა, რომ ფრაზა „რიგიანად მოიქეცით“ ნიშნავს იმას, რომ კნეინამ მას იჯარით მისცეს მიწები, რომელიც გლეხებს აქვთ აღებული. კნ. მარიამ რუსიშვილისამ, ამ სიტყვების გაგონებაზე სთქვა: თუ თ. გრ. ერისთავის მკვლელობამ დაუსჯელად ჩაიარა, მისი ქალის ძალდატანებას კი არავის არ შეარჩენს და შურს იძიებს. ამის შემდეგ მგალობლიშვილი შეეცადა ლაპარაკის ხუმრობაზე გადატანას და სთქვა: „შეიძლება, ეს წერილი მევე დავსწერე, მხოლოდ ხუმრობით“. ამაზე კნ. რუსიშვილისამ უპასუხა, რომ თუ მის ქალს რამე შეემთხვა, **მის უდიდებულესობას** მიმართავს მფარველობისათვის. მგალობლიშვილმა თითქმის დაცინვის კილოთი უთხრა: „კნეინა ნუ თუ ეგრე შეგაშინათ წერილმა“? 2 აპრილს კნ. ერისთავისამ მეორე წერილი მიიღო ასეთივე სურათებით, და ისევე ხელმოწერილი: „კნეინა! არ ვიცი, მიიღეთ თუ არა წერილი, მაგრამ მოვალედ ვსთვლი თავს, გაგაფრთხილოთ, რომ თუ ისევე მოიქცევი, როგორც შენი ქმარი, მაშინ შენი გაქრობის დროსაც ვიშოვით, შევხვდებით ერთმანეთს და მაშინ თავს ველარ დააღწევთ ჩვენის ხელიდან. უკეთესია, თავს გაუფრთხილდე, ვიდრე მამულს. მოთმინებიდან ნუ გამოგვიყვან; რაც შენი ქმრის მოკვლის დროს მოხდა, ისევე განმეორდება შენი მოკვლის დროსაც. მინდოდა პირადად მენახეთ, მაგრამ ვიცი თავადების გიჟური ხასიათი, რომ გამცემენ,—ამისათვის ვერ გავბედე. ამიტომ გწერ კიდევ ერთხელ, გაფრთხილებ მხოლოდ იმიტომ, რომ შენი მოკვლით, უდანაშაულონი არ დაიჩაგრონ, თორემ რაც შენ მოგივა, იმისი ღირსი ხარ. კიდევ რამდენიმე მიზეზს ვუცდით. რამდენიმე შენი საქციელი ჩვენ უკვე ავსწონეთ და თვალს ვადევნებთ შენს სიკვდილს, შემდეგ კი—ჩვენ ვიცით. წარმოდგენილი მაქვს, რომ ჩვენი წერილის წაკითხვის დროს შენ აფურთხებ, მაგრამ რას იზამ: შენ ჩვენი მსხვერპლი ხარ“.

ამის გამო ეჭვი მგალობლიშვილზე მიიტანეს. წერილების შემოწმების დროს ექსპერტები იმ აზრს დაადგნენ, რომ ისინი მგალობლიშვილის ხელითაა დაწერილი. წინასწარ გამოძიების დროს ბრალდებულმა მგალობლიშვილმა განაცხადა: იჯარითა მაქვს აღებული კნ. ერისთავის ბაღი და სახლი; საუბრის დროს მხოლოდ განვუცხადე, რომ მინდა კნ. ერისთავის მთელი მამულების იჯარით აღება. წერილებს მე არ დამიწერია და არც მითქვამს ფრაზა: „რიგიანად მოქცევა ნიშნავს, ჩემთვის მამულების იჯარით გადაცემასაო“.

ყველა ზემო აღნიშნულ გარემოებათა გამო, ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებს ვ. მ. მგალობლიშვილს ბრალად ედებოდა ის, რომ თხოულობდა კნ. ერისთავისაგან იჯარით მამულს და წინააღმდეგ შემთხვევაში სიკვდილით ემუქრებოდა, რაც ექვემდებარება კანონთა კრებულის 1545 მუხლს.

ბრალდებულს იცავდა ნაფ. ვექილი კლანკი. სასამართლოში კნ. ერისთავისამ და ყველა მოწმემ დაამოწმეს საბრალმდებლო ოქმის დებულებანი.

ექსპერტებმა: ნიკოლოზ ლომოურმა, გრიგოლ პაპიტოვმა და ტატიშვილმა ერთხმად აღიარეს, რომ წერილების ავტორად მგალობლიშვილის ჩათვლა არას-გზით არ შეიძლება.

**ბრალმდებელმა** მოწმეების ჩვენების მიხედვით მოითხოვა ბრალდებულის დასჯა. მით უმეტეს რომ კნ. ერისთავისას მტრები არა ჰყავდა და ერთად-ერთი დაინტერესებული პირი მგალობლიშვილი იყო. ექსპერტების რეზოლიუციას შეიძლება ყურადღება არ მიექცეს, რადგან პირველი ექსპერტიზა უფრო მიუდგომელი იყო და სრულიად წინაღმდეგს ამბობდა. შეიძლება ბრალდებულს წერილები არ დაეწერა, მაგრამ ეჭვი არ არის, რომ მის შედგენაში და გაგზავნაში მონაწილეობას იღებდა.

**ნაფ. ვექ. კლანკი.** თუ მგალობლიშვილს სახეში ჰქონდა მუქარით მამულების იჯარით აღება, მაშასადამე წერილებში ამის შესახებ რამეს დასწერდა. წერილში კი ეს უმთავრესი მოტივი არა სჩანს, გარკვეული მოთხოვნილებანი არ არის წამოყენებული. არც ბრალდებულის ყოფა-ქცევა და არც ექსპერტიზის შედეგები საფუძველს არ იძლევა, რომ ბრალდებული კანონის ასეთ მკაცრ მუხლის ძალით განსაჯოთ როგორც 1545 მუხლითო.

ოლქის სასამართლომ მგალობლიშვილი გაამართლა.

**პოლიტიკური საქმე.**

ტფილისის სასამართლო პალატის საგანგებო საკრებულომ წოდებათა წარმომადგენლების თანადასწრებით განიხილა პირველ სახელმწიფო სათათბიროს წევრის ნოე ჟორდანიას საქმე, რომელიც სამართალში იყო მიცემული წიგნის „რჩეული ნაწერების“ გამოცემისა და ხალხში გავრცელებისათვის. ამ წიგნის ზოგიერთ წერილებში მთავრობამ დაინახა ხალხისადმი მოწოდება არსებულ სახელმწიფო წესწყობილების წინააღმდეგ. საქმე ხალხის დაუსწრებლად გაირჩა. ბრალდებულს იცავდნენ ნაფიც. ვექ. ბროდსკი და კაჩუხოვი. საგანგებო საკრებულომ ხანგრძლივი კამათის შემდეგ ნ. ჟორდანია დამნაშავედ იცნო და სამი წლის ციხე მიუსაჯა.

# საბანკო საქმე ჩვენში

ტფილისისა და ქუთაისის სადგილ-მამულო ბანკებს საფრთხე მოელის. და თუ ამ ბანკების გამგეებმა შესაფერი ზომები არ მიიღეს, შესაძლებელია მათმა მოგებამ საგრძნობლათ იკლოს.

საქმე ისაა, რომ ბანკის მსესხებელი ყოველწლივ განსაზღვრულ გადასახადს იხდის თავნი ვალის დასაფარავად და ბანკები წელიწადში ორჯელ გადახდილი ვალის რაოდენობის დაგვარათ სპობენ გირავნობის ფურცლებს მაისისა და ნოემბრის ტირაჟით.

ამ ჟამად ტირაჟი ასე ხდება—ბანკი ბირჟაზე ყიდულობს ტირაჟისათვის საჭირო გირავნობის ფურცლებს კურსის კვალობაზე და თანახმად მსესხებელთაგან გადახდილი ვალისა სპობს მათ. ყველა მიხვდება, რომ ასეთი წესი ტირაჟისა ბანკს მოგებას აძლევს და ეს მოგება მით უფრო დიდია, რამდენადაც გირავნობის ფურცლების კურსი დაბალია. მაგალითად მსესხებლებმა ერთის წლის განმავლობაში გადაიხადეს 100,000 მანეთი თავნი ვალი. ბანკი, ეხლანდელ წესის მიხედვით, ვალდებულია ამ ფულის რაოდენობის კვალობაზე მოსპოს გირავნობის ფურცლები ნომინალურ ფასად. რადგანაც კურსი ამ ჟამად 80 მანეთია, მაშასადამე ბანკს შეუძლიან 100,000 მანეთის გირავნობის ფურცლები 80,000 მანეთად შეიძინოს, ხოლო მსესხებელთაგან ზედმეტად შეტანილი 20 ათასი მანეთი ბანკს მოგებად დარჩება. მართლაც ასე ხდება. მაგალითად ქუთაისის ბანკს, ორთაშუა რიცხვით, ამ ოპერაციით წელიწადში 30 ათასი მანეთი მოგება რჩება, ხოლო ტფილისისას იმდენად მეტი დარჩება, რამდენჯერაც მისგან გაღებული სესხი აღემატება ქუთაისის ბანკისას.

ეხლა ირკვევა, რომ სააქციონერო სადგილ-მამულო ბანკების შუამდგომლობით, ფინანსთა მინისტრს განუზრახავს გირავნობის ფურცლების ტირაჟის წესის შეცვლა.

ამ წესით ბანკებს გირავნობის ფურცლების სყიდვა ბირჟაზე აკრძალული ექნებათ. სამაგიეროდ ისინი ვალდებულნი იქნებიან მსესხებელთა მიერ გადახდილი ვალის რაოდენობის კვალობაზე ბირჟის მიერ შესყიდული გირავნობის ფურცლებიდან მოსასპობლად გამოაცხადონ ტირაჟის წესით განსაზღვრული ნომრები გირავნობის ფურცლებისა და ამათ პატრონებს უფლება მიეცემათ ბანკს მოსთხოვონ გაანაღდოს ისინი ნომინალური ფასით. ამ შემთხვევაში, ყველა მიხვდება, ბანკი არაფერს მოიგებს, ხოლო გირავნობის ფურცლის პატრონი ასზე ასს მიიღებს, 80 მანეთად ან ნაკლებადაც რომ ჰქონდეს იგი შეძენილი. ამ შემთხვევაში მოგებაში კაპიტალისტი რჩება.

ფინანსთა მინისტრის განზრახვის საფუძველი ის არის, თურმე, რომ ასეთი წესი ტირაჟის უზიდენს გირავნობის ფურცლების კურსს გააუმჯობესებს და თუ ამ აზრს სააქციონერო ბანკებიც მიეკედლებიან, სამაგიერო შეღავათი მიუღიათ, რაიც იმაში გამოიხატება, რომ სოფლისა და ქალაქის მამულებზე სესხის გაცემისა და არსებულ წესის შეცვლას ჰპირდება, თურმე, სამინისტრო. არსებული წესი სააქციონერო ბანკებს ავალებს ქალაქის მამულებზე გაცემული სესხის რაოდენობა ნახევარზე მეტი არ იყოს სოფლის მამულებისაზე და ეს გარემოება მეტად ავიწროვებს სააქციონერო ბანკებს; ეხლა კი დაჰპირებიან ამ წესის შეცვლას იმ მხრივ, რომ სოფლისა და ქალაქის მამულებზე თანაბრად შეგიძლიათ გასცეთ სესხაო.

სააქციონერო ბანკებისათვის ეს ცვლილება დიდმნიშვნელოვანია ოპერაციების საქმეში და რასაც ტირაჟის წესის შეცვლით იზარალებენ, იმას ერთი-ორად აინაზღაურებენ ოპერაციების გაფართოვებით. ჩვენს ბანკებს კი ზარალის მეტი არა მოელით-რა.

ამიტომ ჩვენი ბანკების გამგენი ვალდებულნი არიან ყოველი ღონე იხმარონ, რომ ტირაჟის არსებული წესი არ შეიცვალოს. კარგს ინებებენ თუ ერთად მოილაპარაკებენ ამ საგანზე და შეთანხმებით იმოქმედებენ.

ამ საქმეში, როგორც შევიტყვეთ, ხელს შეუწყობენ ფინანსთა მინისტრის რწმუნებულნი, რომელთაც ასეთ რწმუნებულთა კრებაზე წარსულს დეკემბერს გან-უცხადებიათ, რომ ასეთი ცვლილება საზარალო იქნებაო ტფილისისა და ქუთაისის სადგილ-მამულო ბანკებისათვისაო.

**ძ.**

# სამოქმედო გეგმა ქართლის აგრონომისა

(შემდეგი *)

თუ აქნობამდისინ გლეხების ეკონომიური ძალა დამყარებული იყო მხოლოდ ხვნა-თესვაზე, ეხლა იგი უნდა დამყარდეს სოფლის მეურნეობის სხვა დარგებზედაც, მით უმეტეს, რომ ამას ხელს უწყობს, უკარნახებს როგორც გლეხთა მცირე მიწათმფლობელობა (ამ მიწათმფლობელობით გლეხი ხვნა-თესვით ვერ იცხოვრებს), ისე ბუნებრივი პირობანი და ახლოს მდებარე რკინის გზა და ისეთი ბაზარი, როგორც არის რუსეთი (ხილისათვის) და ჩვენი დედა ქალაქი—ტფილისი, ბათომი, ქუთაისი, ბაქო.

ზემო-ნათქვამიდან ცხადად ირკვევა ჩვენი მომავალი მოქმედების გეგმა; ჩვენში მუშაობა უნდა იყოს მიმართული ორი მიზნისაკენ:

1) **გაუმჯობესობა ტეხნიკისა**—გავრცელება უკეთეს იარაღ-მანქანებისა, თესლისა და მუშაობის წესის.

2) გამოძებნა მომავალ სამეურნეო ორგანიზაციის ტიპისა და ამხანადვე თადარიგის დაჭერა, შესაფერი ხელის შეწყობა უკვე გამორკვეულ დარგებისათვის—უკეთესი თესლის დარიგებით (ბაღჩეულობის, ბოსტნეულის და გოგრისა); სამაკებელი პუნქტების მოწყობით; მეძროხის უკეთესი ტეხნიკის დემონსტრაციით; თუთის ნერგების დარიგებით და კოოპერატივების დახმარებით.

**ხვნა-თესვა** რაიონში აუცილებელია, როგორც ერთ-ერთი დარგი მომავალი სამეურნეო ორგანიზაციისა და როგორც უმთავრესი აწ არსებული. ამიტომ უნდა ვიზრუნოთ მის ტეხნიკურ გაუმჯობესობაზედ; უპირველესად ყოვლისა საჭიროა:

1) **თესლის გაუმჯობესობა**, რისთვისაც უნდა იყოს დაარსებული თესლის-გასაკეთებელი პუნქტები, მოწყობილი საჭირო მანქანებით; გორივლას სარჩევ-სარკვევი მანქანა გეიდისა კლ. V № 2 და მძ. რებერთა სარკვევი „ტრიუმფი“ № 2. ეს პუნქტები უნდა მოეწყოს სოფ. გომში და სოფ. ბრეთში ადგილობრივ ს. ს. ამხანაგობასთან.

2) **შესაფერი გუთნების შერჩევა** რაიონისათვის. საკუთრეული გუთნის მუშაობამ გამოარკვია მისი დიდი ნაკლი—ვიწრო ველი, რომელსაც გლეხობა ვერ ურიგდება, ამიტომ საჭიროა ეხლა ცდა სხვა გუთნებისაც. მის ეკერტის საკის მინავარად გაკეთებულ ამ გუთნებით მუშაობის მოწყობა შეიძლება სოფ. გომში, აბისში, თამარშენში, წვერში.

3) **სიმინდის მწკრივად დათესვის უპირატესობა** უნდა ვაჩვენო წელსაც შემდეგ სოფლებში: გომში, აძვისში, ალში, აბისში, მოხისში, თამარაშენში, წვერში, ბრეთში, რუისში და ქარელში. ამასთანავე ვაჩვენებ მოცდას, რა გავლენა აქვს სიმინდთან ერთად ლობიოს დათესვას მოსავალზე. აქვე ნაჩვენები იქნება მუშაობა ფარცხისა, სათესისა და მათოხნისა.

4) **სიმინდის დათესვა გადარჩეული თესლით.** ამის მოწყობას ვაპირობ აბისში და თამარშენში, იქნება მოვახერხო საქაშეთშიაც.

5) **პურის და ქერის დათესვა მანქანით.** შემოდგომის პური უკვე დათესილია სოფ. საქაშეთში თავ. დიასამიძესთან (9 და 10 ფუთის ვარაუდით დეს.), სოფ. რუისში (8 ფუთი და 9 ფ. დ. დეკანოზიშვილისა და ი. გულისაშვილის მამულში), წვერში დ. კალატოზიშვილის მამულში (9 ფ.), თამარშენში თავ. ან. ფალავანდიშვილთან (7, 8 და 9 ფუთი), აბისში (8 ფ.), წროში (8 ფუთი), აძვისში (8 ფ.). ქერი შემოდგომის დათესილია სოფ. თამარშენში თავ. ა. ფალავანდიშვილთან (1 დღიურზე 8 ფუთი).

6) სოფ. თამარშენში თავ. ა. ფალავანდიშვილის მამულში ვაპირობ მოწყობას შემდეგი გამოცდისას: მე მგონია რომ ანეული ჩვენში უნდა მოისპოს, რადგან მამული ტყუილად სცდება. მის მაგიერ ერთს ნახევარში უნდა დათესოს უგრეხელი და ქერი (რაიც მამულს აკეთებს), მეორეზე კი სიმინდი ძალიან თხლად (ველის სიგანე 2—3 არშინი, ეგრედწოდებული ამერიკული ანეული). უგრეხელი მისცემს პატრონს საკვებს, რომელიც მას დააკლდება ანეულის მოხვნით.

მე ხელოვნური სასუქის ხმარება მიმაჩნია საჭიროდ მარტო ბაღში; პურისათვის მისი ხმარება ჯერჯერობით საჭირო არ არის.

**საქონლის მოშენება.**

მუშა საქონლის გაუმჯობესობაზე უნდა ვიზრუნოთ ეხლავე. სხვას რომ თავი დავანებოთ, ხვნა-თესვა საჭიროებს კარგ საქონელს, რამდენიმე წლის მუშაობის შემდეგ. რომ შესაძლებელი იყოს 4 უღლის მაგივრად 3 უღლის შებმა, ესეც დიდი ღვაწლი იქნება ქ. ს. ს. ს.

მეწველ საქონლის გაუმჯობესობა დიდ შეღავათს მისცემს ადგილობრივ მეურნეებს; რძის ფასი აქა-იქ შეგნებული აქვსთ; მაგ, ოსიაურში (ერთი ვერსი სიშორეზე ხაშურიდან) ადგილობრივი მემამულე თად. გ. დ. ვეზირიშვილი და ადგილობრივი გლეხობა ეზიდება რძეს ხაშურში, ალისა და ოქონის ხეობაში. ლიახვის მარჯვენა ნაპირზედ არა ერთხელ გამიგონია მემამულეთაგან საჭიროება მეძროხის წარმატება - განვითარების. ამ მდგომარეობაში ჩვენ მიერ თავის მოურუება არ გამოდგება: ჩვენი ვალია და ვეხმაროთ შესაფერისი საშუალებით, ეს კია—დასამაკებელი პუნქტები და რაიონში საქონლისათვის საკვების გავრცელება. სამაკებელი პუნქტების გამართვა მომავალში მე მიმაჩნია საჭიროდ სოფ. გომში და ბრეთში, ამ ხანად კი საჭიროა ადგილობრივ ჯიშის მოზვრების ყიდვა და გაზრდა სამერმისოდ, როცა თავის სამსახურის ასასრულებლად გამოდგებიან.

**ელ. კარბელაშვილი.**

(დასასრული იქნება)

*) იხ. „სახ. გაზ.“ № 819.

# საკანონმდებლო დაწესებულებებში

სათათბიროს გლეხთა ჯგუფმა განიხილა საკითხი, თუ რანაირი მონაწილეობა მიიღოს რომანოვთა გვარის დღესასწაულში 11 ხმის უმრავლესობით წინააღმდეგ 9-ისა მიღებულ იქნა წინადადება დეპუტატის ვარლამ გელოვანისა, რომელიც ამბობდა, რადგანაც გლეხთა ჯგუფი პოლიტიკური ჯგუფი კი არ არის, არამედ ისეთი, რომელიც მხოლოდ გლეხთა ეკონომიურ ინტერესების დასაცველად შესდგა, მან პოლიტიკურ ხასიათის დღესასწაულში მონაწილეობა არ უნდა მიიღოსო. ამ წინადადების მიღების შემდეგ ყაზახების დეპუტატმა კარაულოვმა გლეხთა ჯგუფს თავი დაანება.

# სალიტერატურო კურიოზები

გაზეთ „მერცხალში“ ასეთი წინადადებაა დაბეჭდილი:

„საბჭოს წევრებმა სულაბერიძეს წინადადება მისცეს ხმოსნობაზე ხელი აეღო. ის დათანხმდა, მაგრამ შემდეგ **გადავარა**“,

ე. ი. შემდეგ უარი სთქვაო. ალბად ეს თუ უნდა ეთქვათ „მერცხლის“-ს მწერლებს. ყოველგვარ გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად,

„მერცხალი“ კარგს იზამდა, თუ თავის წერილებს ქართული ენის ლექსიკონს დაურთავდა.

* * *

ულექსიკონოდ როგორ უნდა გავიგოთ აი, თუნდა, ეს ამონაწერი.

„ვფიქრობდით, რომ გულის წყრომისა და აღშფოთების ატმოსფერა, რომელიც მინისტრის გამოსვლამ შექმნა ამ დარბაზში, ჩაწყნარდა და შეიძლება **აწი** ამაზე დამშვიდებით **მსჯელობათქო**“.

# ამბოხება ოსმალეთში

**დეპეშები.**

11 თებერვალი.

**ბუქარესტი.** სტამბოლიდან იტყობინებიან: სტამბოლის აზიის საზღვარზე ხმელეთის ჯარის ორი ბატალიონი აჯანყდა. ჯარის-კაცები მოითხოვენ კაბინეთის გადადგომას. სულთანმა დაუყონებლივ გაგზავნა ადიუტანტი, რათა მისი სალამი გადაეცა ბატალიონებისათვის და დაემშვიდებინა ჯარის-კაცნი, რომ კაბინეთი ომის გათავებისათანავე გადადგებაო. სულთანი მოუწოდებდა ამბოხებულთ დაბრუნებულიყვნენ ყაზარმებში. დიდი ხნის მოლაპარაკების შემდეგ ჯარის-კაცნი დაბრუნდნენ. ჩათალჯაში გენერალისიმუსის იზეტ-ფაშის მოსვლას, ჯარის არეულობას უკავშირებენ. ჯარი ჩათალჯაში კაბინეთის გადადგომას მოითხოვს.

მაჰმუდ-შევკეტ-ფაშა გალიპოლიდან დაბრუნდა, სადაც ჯარში უთანხმოების მოსასპობად იყო გაგზავნილი.

მთავრობამ სამხედრო სასწავლებლის მოსწავლეთა გაგზავნა ბრძოლის ველზე მოსპო, რადგანაც ისინი მტრულად არიან განწყობილნი კომიტეტთან.

# ბალკანეთის ომი

**დეპეშები.**

11 თებერვალი.

**სოფია.** დიდი თოვლი ხელს უშლის სამხედრო მოქმედების გაგრძელებას.

**ბუხარესტი.** ოსმალეთის გაზეთების ცნობათა მიუხედავად, ბულგარელ ტყვეთა რიცხვი ას კაცს არ აღემატება. ოსმალები ტყვეებს მკაცრად ეკიდებიან.

**ბუხარესტი.** სტამბოლიდან იტყობინებიან, რომ, ხმებია, ვითომც ადრიანოპოლის ციხის უფროსი სურსათის გამოლევის გამო შეუძლებლად ჰსცნობს ადრიანოპოლის დაცვას.

**გაზეთებიდან.**

**უცხოელები ადრიანოპოლში.**

ბულგარეთის ჯარის საალყო შტაბმა შეატყობინა ადრიანოპოლის ციხის უფროსს, რომ უცხოელებს ნება აქვთ ქალაქიდან გამოსვლისაო, მაგრამ, როგორც ეტყობა, შუქრი-ფაშა წინააღმდეგია ამისა; რადგან ეშინიან ციხის საიდუმლოთა გამომჟღავნებისა.

**ჩერნოგორიის მეფე.**

ვენის გაზეთებმა ხმა გაავრცელეს, ვითომც ჩერნოგორიის მეფემ ნიკოლოზმა სერბიის მთავრობას შეატყობინა, რომ ავადმყოფობის გამო თავს ვანებებ მოალყე ჯარის მთავარსარდლობასო. გაზეთების აზრით, მთავარსარდლობას სერბიის ერთ-ერთი ღენერალი იკისრებს.

**ბულგარეთი და რუმინია.**

პეტერბურგის დიპლომატიურ წრეებში ამბობენ, რომ ბულგარეთ-რუმინიის დავაში დიდ სახელმწიფოთა ჩარევამ ის ნაყოფი გამოიღო, რომ ორივე მხარე დასთანხმდა თვისი დავის სამედიატორო სასამართლოში გადაცემაზე. მხოლოდ შესაძლებელია, რუსეთისა და იტალიის მაგიერ მედიატორებად სხვანი აირჩიონ, რაც დამოკიდებულია მოდავეებზე.

# ბალკანეთი და ევროპა

**დეპეშები.**

11 თებერვალი.

**სოფია.** „მირი“ სწერს დიდ სახელმწიფოთა წინადადების თაობაზე ბულგარეთ-რუმინიის დავაში შუამავლობის გამო და ამბობს: ბულგარეთი, რომლის მთელი ჯარიც ფრაკიაში იმყოფება, არ შეიძლება არ დასთანხმდეს დიდ სახელმწიფოთა წინადადებას. ბულგარეთს რომ საზღვარზე ჯარი ჰყოლოდა, რუმინიაში არეულობა და მანიფესტაციები არ მოხდებაო. რუმინიელებისთვის მოთხოვნილებას ბულგარეთთან კავშირის სურვილით ჰხსნიან. ბულგარებს ვერ გაუგიათ, რადა სწორედ დღევანდელ პირობებში და ამ საშუალებით მოინდომეს რუმინელებმა კავშირის განმტკიცება. გაზეთი დარწმუნებულია, რომ სახელმწიფოთა ჩარევა გამარჯვებას მიანიჭებს საერთაშორისო სამართლიანობას ძალადობის წინააღმდეგ.

**სოფია.** მთავრობამ დიდ სახელმწიფოთა წარმომადგენლებს განუცხადა: ბულგარეთსა სწამს დიდ სახელმწიფოთა მაღალი სამართლიანობა, იღებს მათს წინადადებას და ბულგარეთ-რუმინიის დავას გადასაწყვეტად ანდობსო. ბულგარეთი იმ პირობით სთანხმდება სახელმწიფოთა წინადადებას, თუ რუმინიაც მიიღებს მას.

**მოსკოვი.** სალონიკიდან დაბრუნდა ქალაქის სასანიტარო რაზმი.

**პრაგა.** „ნაროდნი-ლისტი“-ში კრამარჟი სწერს: რუსები, რომელნიც ესე ენერგიულად იცავენ ბალკანელ სლავიანებს, არა ნაკლების ენერგიით უნდა სცდილობდენ პოლონელთა საკითხის სასურველად გადაწყვეტას რუსეთში, რადგანაც პოლონელები, ჩეხელებივით სლავიანთა იდეას ემსახურებიანო.

# დეპეშები

(პეტერბ. სააგენტო ფოშტათა)

11 თებერვალი.

**საზღვარ-გარედ**

**ბერლინი.** ლანდტაგის საბიუჯეტო კომისიაში, სახალხო განათლების მინისტრმა განაცხადა, რომ უცხოელ სტუდენტების მიშვება სასწავლებლებში აუცილებელია, რადგანაც უფრო მჭიდრო დამოკიდებულება დაარსდება სხვა სახელმწიფოებთ შორის. სწავლის ფული ორნაირად უნდა გადიდდეს.

**თავრიზი.** საკონსულო კონვოის ყაზახებს 1911 წლის აჯანყების ჩაქრობაში მხნეობის გამოჩენისათვის დაურიგეს საგანგებო ორდენები.

**მექსიკა.** დიპლომატთა კორპუსმა უარი განაცხადა გარეშე საქმეთა მინისტრის საუზმეზე დასწრებისა, რადგანაც გამორკვეული არ არის მადეროს და სუარეცის მოკვლის მიზეზებიო.

**ლონდონი.** გასულ კვირის ბოლო დღეებში სუფრაჟისტებმა ახალ-ახალი თავდასხმით და უწესოებით აღსინშნეს. სხვა და სხვა ალაგს დასჭრეს ტელეგრაფის მავთულები, საფოსტო ყუთები დაამტვრიეს. ლონდონის ქუჩები მოფენილია ქაღალდებით შემდეგი წარწერით: „ქალთა საარჩევნო უფლებანი“. პოლიციამ შეიპყრო ერთი ახალგაზრდა ქალი, რომელმაც სრულიად უმიზეზოდ შემოჰკრა სახეში სილა უცნობ კაცს და თან მიაყოლა სიტყვები: „ქალთა საარჩევნო უფლებანი“. ქუჩის ბრბო მტრულად უყურებს სუფრაჟისტების მოძრაობას. ქალთა მიტინგებს ხელს უშლიან ისინი. პოლიციას უხდება მიტინგის გამმართველნი დაიცვას ბრბოსაგან. შეიპყრეს სუფრაჟისტების ბელადი პანკჰერსტი.

**რუსეთი.**

**ხარბინი.** პეილინციზის მახლობლად დიდი შეტაკება მოხდა ჩინელებსა და ხუნხუზებს შორის. მოკლულია ას ხუნხუზზე მეტი. 30 ხუნხუზი, რომელნიც ტყვედ წაიყვანეს სიკვდილით დასაჯეს.

**მოსკოვი.** სამგზავრო მატარებლის ქვეშ ჩავარდა ტრეტიაკოვის გალერეის მცველი ხრუსლოვი. იგი მატარებელმა გასჭყლიტა.

**პეტერბურგი.** სინოდმა მოიწონა ზომები, რომელიც მიიღო მოსკოვში ლოთობასთან ბრძოლის საკითხის თაობაზე გამართულმა სრულიად რუსეთის კრებამ. სინოდი სამღვდელოებას ავალებს ხელი შეუწყონ ლოთობასთან ბრძოლაში კრების მოქმედებას.

**პეტერბურგი.** პეტერბურგის სამხედრო ოლქის სამხედრო-სასანიტარო ოლქის უმფროსი მაკავეევი დანიშნა, სამხედრო-სამედიცინო აკადემიის უფროსად.

# უცხოეთი

**იაპონია**

**იაპონიის ახალი კაბინეთი.**

როგორც დეპეშებიდან ვიცით იაპონიის ახალი კაბინეთის შედგენა მიანდეს იამამოტოს. იგი ლიდერია სეიუკაის პარტიისა. სეიუკაის პარტიის წარმომადგენელთა შორის არიან კოკუმინტოს წარმომადგენლნიც. გარდა ამისა კაბინეთში სამი მინისტრია, რომელნიც არც ერთ პოლიტიკურ პარტიას არ ეკუთვნიან და იმპერატორის მიერ არიან დანიშნული. თვით პრემიერი იამამოტო იაპონელ ორატორთა შორის ერთი ღირსეული პირია; იგი სამხედრო მინისტრად არის ნამყოფი, მონაწილეობდა სამხედრო საბჭოში, მხოლოდ როგორც პარტიულმა მოღვაწემ იამამოტომ ამ ბოლო დროს მოიხვეჭა სახელი. სეიუკაის პარტიასთან უფრო მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი ფინანსთა მინისტრი მათსუდა, შინაგან საქმეთა და იუსტიციის მინისტრები, ხარა და ხასება. მათსუდა და ხარა საიონჯის კაბინეთში იყვნენ მინისტრებად. პირველი სახალხო განათლების მინისტრად, მეორე კი—შინაგან საქმეთა მინისტრად. ხასება ერთი მთავარი ხელმძღვანელთაგანია სეიუკაიას პარტიისა. კოკუმინტოს პარტიის წარმომადგენელთაგან კაბინეთში შევიდა საუცხოვო ორატორი, საოპოზიციო გაზეთის რედაქტორი, უნივერსიტეტის პროფესორი ინუკაი. ინუკაი ოკუმის თანამშრომლად ნამყოფი არის. სამი მინისტრი ხელმწიფის მიერ დანიშნულნი ბიუროკრატიის წარმომადგენელნი არიან: ზღვათა, სამხედრო და გარეშე საქმეთა მინისტრები. სამივე მინისტრი კაცურას კაბინეთის მინისტრებია: კიკოში, საიტო და კატო. მათი დანიშვნა სავსებით ეთანხმება იაპონიის ტრადიციებს; რამდენჯერაც უნდა გამოიცვალოს კაბინეთები საზღვაო, სამხედრო და გარეშე საქმეთა მინისტრები თავთავიანთ მთანამდებობაზე რჩებიან, ვიდრე ისინი ხელმწიფის ნდობით არიან აღჭურვილნი, ე. ი. ნდობით ბიუროკრატიისა და სამხედრო წრისა. ეხლა კი ამ ტრადიციის დაცვამ დიდი მღელვარება გამოიწვია სეიუკაის პარტიაში, პარტიის წევრნი წმინდა პარლამენტის სამინისტროს მოითხოვდნენ. იმათ განაცხადეს, რომ პარტია კოალიციურ კაბინეთს მხარსვერ დაუჭერენო. თუ მართლა პარტიამ განაგრძო დაწყებული ბრძოლა პარლამენტარიზმისთვის და ბოლომდის განაგრძო, იაპონიის პოლიტიკური კრიზისი, იამამოტოს დანიშვნით განვითარების ახალ საფეხურზე გადავა. ყოველ შემთხვევაში კაბინეთსა და პარლამენტს შორის ბრძოლას ჯერ წერტილი არ დაესმება.

**ბელგია**

**საყოველთაო გაფიცვის გამოცხადება ბელგიაში.**

დეპეშებით ვიცით, რომ ბელგიის სოციალისტებმა პარლამენტის ტრიბუნის საშუალებით ვერ მოახერხეს საარჩევნო რეფორმების კანონ-პროექტი გაეყვანათ. ამის გამო სოციალისტებმა, ვანდერველდის წინადადებით, დაადგინეს გამოაცხადონ ბელგიაში საყოველთაო გაფიცვა. რეზოლიუციაში ნათქვამია, რომ გაფიცვის აუცილებლობა გამოწვეულია მთავრობისა და მემარჯვენეთა შეურიგებლობით და ყოვლად აუტანელ პოლიტიკით. ამისთვის მუშათა კლასი უნდა დაეშუროს საერთო გაფიცვისთვის მზადებას. გაფიცვის დღედ პირველი (14) აპრილია დანიშნული. სოციალისტთა კომიტეტმა გამოუშო მოწოდება, რომლითაც ხალხს მოუხმობენ უკიდურეს ხერხს მიჰმართონ თვის ინტერესების დასაცავად, როდესაც მშვიდობიანობით არაფერს ჰხდება იგი. გაფიცვის გამოცხადებამ ბელგიაში ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა. ბევრი ზომიერი კათოლიკე ჰკიცხავს ბროკვილის ხაქციელს. ბროკვილს შეეძლო გამოეყენებინა შესაფერი მომენტი და თავისუფლად შეეძლო კომპრომისის გზაზე წასულიყო; ეხლა კი საქმე ფრიად დაიხლართა და გართულდაო. წარმოიდგინეთ უკმაყოფილება მთავრობის საქციელისა იქამდის ვაიზარდა, რომ ლიბერალები და ზომიერი ლიბერალებიც კი თანაგრძნობით ეკიდებიან გაფიცვის აზრს და ფულით დახმარებას ჰპირდებიან გაფიცვის მომწყობ კომიტეტს. ბელგიის მსხვილი მრეწველნი ფრიად შეძრწუნებულია გაფიცვის მოლოდინში. გაფიცვა დიდ ზიანს მოუტანს ბელგიის მრეწველობის წარმოების განვითარებას და უკანასკნელ დროს შერყეულ საფინანსო საქმეებს განსაცდელში ჩააგდებსო. ესენიც თავის მხრივ სცდილობენ გავლენა იქონიონ მთავრობაზე და დაარწმუნონ, რომ ეხლა ოდნავი სურვილი მაინც გამოიჩინოს შერიგებისა და საარჩევნო რეფორმების მოთხოვნილებანი დააკმაყოფილოს. კაპიტალისტები ამ გზით აპირებენ თავიდან აიცილონ საყოველთაო გაფიცვა. ბროკვილის კაბინეთიც ვერ იჩენს მოქმედებაში ერთსულოვნებას. ჯერ ერთი, თვით კაბინეთშიაც და უკიდურეს მემარჯვენებშიაც მოიპოვებიან ისეთი პირნი, რომელნიც არ ამართლებენ პრემიერის ჯიუტობას. მეორე კიდევ ის, რომ სხვა საკითხებშიაც შესაძლებელია თავი იჩინოს კაბინეთისა და პარლამენტის განხეთქილებამ. მაგალითად სამხედრო რეფორმა, შემოღება საყოველთაო სამხედრო ბეგარა და სხვები უმემარცხენოთა დასტურით ვერ გავა. ლიბერალები კი ისე არიან მთავრობის მოქმედებით უკმაყოფილონი, რომ არც ერთ მის პროექტს მხარს არ დაუჭერენ. ამგვარად ბელგიაში საქმეები ძლიერ არის დახლართული. ამ უხერხულ მდგომარეობიდან გამოსვლის იმედის ოდნავი შუქი ჰქრთის კაბინეთის გადადგომაში. მხოლოდ ამ გზით თუ შეიძლება დასცხრეს ის მწვავე უკმაყოფილება, რაც პარლამენტსა და კაბინეთს შორის ჰსუფევს. საყოველთაო გაფიცვის მოლოდინი კი დამოკლის მახვილით დაჰკიდებია მთელ ბელგიას და შიშის ზარსა ჰცემს.

# წერ. რედ. მიმართ

ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოებას შემოსწირეს:

1. დიმიტრი ერასტის ძე ჩოლოყაშვილმა 100 ცალი „ფილოქსერა და მასთან ბრძოლა“ სკოლებში უფასოდ დასარიგებლად.

2. კალისტრატე არეტას ძე დგებუაძემ, ზუგდიდის საზოგადო ბიბლიოთეკისათვის: „Энциклопедическій словарь“—86 წიგნი, „Новый способъ леченія“—3 წიგნი, „Человѣкъ“ რანკესი—2 წიგნი; „Жизнь животныхъ“ ბრემისა — 3 წიგნი, „Жизнь растеній“ კერნერისა—2 წიგნი, „Исторія земли“ ნეიმაირისა—2 წიგნი, „Народовѣдѣніе“ რადცელისა—2 წიგნი, „Мироздание“ მაიერისა—1 წიგნი, „Происхожденіе животнаго міра“ გააკესი—1 წიგნი, ქართული ლექსიკონი საბა-სულხან ორბელიანისა, მოგზაურობა დეკ. პეტრე კონჭოშვილისა, თხზულებანი აკაკისა I და II ტომი, საქართველოს ისტორია დ. ბაქრაძისა, 1911 წლის „ნაკადული“ ორივე ნაწილი, „ბავშვობა და სიყრმე“ ტოლსტოისა და „ნახატებიანი საყმაწვილო მოთხრობები“—სულ 107 ყდიანი და 36 უყდო წიგნი.

წ.-კ. საზოგადოების გამგეობა ულრმეს მადლობას მოახსენებს შემომწირველთ.

**რედაქტორ-გამომცემელი ა. ჭუმბაძე.**

# გამოსადეგი ცნობა

## მატარებელთა მიმოსვლა (ზამთრობით).

**15 ოქტომბრიდან.**

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

**ტფილისიდან გადის.**

**ბაქოსაკენ:** **სამგზ.-საბარგო** № 8, სიღ. 1 ს. 26 წ. **ჩქარი** № 2, დილ. 10 ს. 14 წ. **საფოსტო** № 4, ღამის 12 ს. 36 წ. **სამგზავ.** № 6, ნაშუადღ. 6 ს. 31 წ. **ნარევი** № 106. სიღ. 7 ს. 26 წ.

**ბათომისაკენ:** **სახ.** №№ 107, დილ. 4 ს 38 წ. **სახ.** № 5, ნაშ. 4 ს. 38 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. 50 წ. **სახ.** № 4, სიღ. 9 ს 4 წ. **სახ.** № 11, ღამ. 10 ს. 2 წ.

**ბაქოსკენ:** **ნარევ.** № 106, სიღ. 7 ს. 26 წ.

**ერევანისკენ:** **სახ.-საბ.** № 8;7, შუადღ. 1 ს. 6 წ.

**ჯულფისკენ:** **საფ.** № 4;3, ღამ. 1 ს. 11 წ.

**ყარსისკენ:** **სახ.-საბ.** № 6;5, სიღ. 8 ს. 10 წ.

**ბორჯომისაკენ:** **სახ.** № 9/10 6, ნაშ. 3 ს. 17 წ.

**ტფილისში მოდის.**

**ბაქოდან.** **ნარევ.** № 107, ღამ. 3 ს. 8 წ. **სახ.** № 5, ნაშ. 3 ს. 46 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. **ჩქარ.** № 1, სიღ. 9 ს. 10 წ. **სახ.-საბ.** № 7, დილ 11 ს. 55 წ.

**ბათომიდან:** **სახ.** № 12, დილ. 8 ს. 50 წ. **საფ.** № 4, ღამ. 11 ს. 32 წ. **სახ.** № 6, სიღ. 5 ს. 56 წ. **ნარევ.** № 106, დილ. 5 ს. 15 წ.

**ერევნიდან:** **სახ.-საბ.** № 83;7, სიღ. 5 ს. 28 წ.

**ყარსიდან:** **სახ.-საბ.** № 65, ნაშ. 1 ს. 28 წ.

**ჯულფიდან:** **სახ.** № 43, დილ. 8 ს.

**ბორჯომიდან:** **სახალ.** № 9/10 6, დილ. 11 ს. 22 წ.

**მიხაილოვიდან სურამში** **სახ.-საბარგ.** № 61, ღამ. 2 ს. 18 წ. **სახ.-საბ** № 63, დილ. 5 ს. 30 წ. **სახ.-საბ.** № 65, ნაშ. 12 ს. 48 წ. **სახ.-საბ.** № 67, ნაშ. 3 ს. 13 წ. **სახ.-საბ.** № 69, სიღ. 7 ს. 53 წ. **სახ.-საბ.** № 71, სიღ. 9 ს. 20 წ.

**სურამ.-დან მიხაილოვში:** **სახ.-საბარ.** № 60, ღამ. 1 ს. 22 წ. **სახ.-საბ.** № 62, დილ. 4 ს. 38 წ. **სახ.-საბ.** № 64, დილ. 7 ს. 8 წ. **სახ.-საბ.** № 66, ნაშ. 1 ს. 15 წ. **სახ.-საბ.**, № 68, სიღ. 6 ს. 38 წ. **სახ.-საბ.** № 70, სიღ. 8 ს. 26 წ.

**ქუთაისიდან რიონში:** **სახ.** № 77 დილ. 5 ს. 28 წ. **სახ.** № 79, დილ. 10 ს. 14 წ. **სახ.** 1, ნაშ. 2 ს. 3 წ. **სახ.** № 83, ნაშ. 5 ს. 84 წ. **სახ.** № 85, ღამ. 11 ს. 58 წ.

**რიონიდან ქუთაისს:** **სახ.** № 76, დილ. 6 ს. 25 წ. **სახ.** № 78, დილ. 11 ს. 2 წ. **სახალ.** № 80, ნაშ. 3 ს. 8 წ. **სახ.** 82, სიღ. 6 ს. 55 წ. **სახ.** № 84, ღამ. 1 ს. 58 წ.

**ქუთაისიდან ტყიბულს:** **სახალხო** № 29/30, ნაშ. 5 ს. 23 წ.

**ტყიბულიდან ქუთაისს:** **სახ.** № 27/28, დილ. 8 ს. 30 წ.

**ფოთიდან სამტრედ. და ქუთაისს:** **სახ.** № 26, დილ. 6 ს. 6 წ. **სახ.** № 4 II, დილ. 11 ს. 9 წ. **სახ.** № 6, სიღ. 5 ს. 1 წ **სახ** № 8 II. სიღამ. 9 ს. 10 წ.

**სამტრედიიდან ფოთში;** **სახ.** № 3 II შუადღ. 1 ს. 57 წ. **სახ.** № 7 II. სიღ 7 ს. 25 წ. **სახ.** № 5 II, სიღ. 7 ს 59 წ. **სახ.** № 25 r ნაშ. ს. 8 წ.

**ბაი თმ.-დან ქობულეთსა და ნატანებში:** **სახ.** № 18, ღამ. 1 ს. 13 ს. **სახ.** № 11, დილ. ს. 43 წ. **საფ.** № 16, ნაშ. ს. 58 წ.

**ქობულეთ.-დან ბათომს:** **სახ** № 13. დილ. 7 ს. 4 წ. **სახ.** № 15, ღამ. 12 ს. 23 წ **სახალხ.** № 17, ნაშ. 5 ს. 47 წ.

**ნატანებიდან ბათომს:** **სახ** № 17, შუადღ. 5 ს. 20 წ.

**ბათუმიდან ქობულეთში.** **სახ** № 8, ღამ. 11 ს. 13 წ. **სახ.** № 14, დილ. 5 ს. 4 წ. **სახ.** № 16, ნაშ. 2 ს. 58 წ.

**ბათომიდან ნატანებს:** **სახ** № 16, შუადღ. 4 ს. 25 წ.

**მიხაილოვ.-დან ბორჯომს.** **სახ.** № 46, ნაშ. 3 ს. 8 წ. **სახ.** № 65, სიღ. 9 ს. 14 წ. **სახ.** № 86, დილ. 5 ს. 25 წ.

**ბორჯომ.-დან მიხაილოვში:** **სახ.** № 36, ნაშ. 12 ს. 35 წ. **სახ.** № 55, დილ. 5 ს. 58 წ. **სახ.** № 76, ღამ. 12 ს. 41 წ.

**პირდაპირი მიმოსვლა გადაუჯდომლად.**

1) **ბათომიდან პეტერბურგამდე** გაივლის ნიკიტოვკას, კურსკს, მოსკოვს, არის ერთი მიქსტო-ვაგონი I—II კლასისა და I—მესამე კლასის, მატარებლების №№ 1/11 და 2/12. ყველა ბილეთები პლაცკარტებით.

2) **ბათომიდან მოსკოვამდე.** გაივლის კოზლოვს და რიაზანს; 1 ვაგონი პირვ. კლასისა, 1 მეორისა და 3—მესამისა, მატარებლები №№ 5 და 6. I და II კლასი და მესამე კლასის ერთ ვაგონში ბილეთები პლაცკარტიანია, ხოლო მესამე კლასის ორ ვაგონში უპლაცკარტოდ.

3) **ტფილისიდან როსტოვამდე** ერთი ვაგონი I/II კლასისა, ერთიც მესამე კლასისა, მატარებელთა ნომრები 1 და 2.

4) **ტფილისიდან ჯულფა-ერევნისკენ** ერთი ვაგონი I/II კლ. და ერთიც მე-III კლას მატარებლის ნომრები 3 და 4.

**უფასო საექიმო დახმარება**

**ქალაქის საბჭოს ექიმები.**

უბნები

1—2 **გ. ა. გედევანიშვილი**(?) (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).

3—4 **მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).

5—6 **ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).

6—7 **შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ. 1, ტელ. 715).

8—9 **ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715).

10, 11—12 **ა. ი. შჩერბინინსა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 71.

**ქალაქის საავადმყოფოები**

**მთავარი**—მუხრანის ქუჩა, 9.

**ავლაბრისა**—კახეთის ქ. № 15.

**ხარფუხისა**—ვორონცოვის ქ. 55.

**კუკიისა**—ჩერქეზიშვილისა, 1—18.

**დიდუბისა**—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

ცუდს საჭმელ-სასმელს აქეთებენ და ჰყიდიან, და სხ.—დაუყოვნებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

**სასანიტარო ექიმები**

**უბნები:** 1, 2—9 პ. **ფომინა-თხიპოვისა** ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ., 517).

5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).

0, 11—12 **ვ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).

7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტნი შესახვ. 5. ტელ. 487).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოწმებში და სადაც-კი ამ [illegible] შენიშნავენ სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ.

**გემების მიმოსვლა**

**(ზამთრობით)**

**15 ოქტომბრიდან,**

**შავ-ზღვაზე.**

(დრო ტფილისის საათითაა აღნიშნული).

„**ვაჭრობა-ნავოსნობის**“ საზოგადოების გემები.

**ბათომიდან გადის:**

1) პირდაპირი. **საფოსტო** გ[illegible] შაბ. და კვირ., ღამ. 12 ს. 58 წ.

**ირგვლივ მოსიარულე:**

№ 1. **ოთხშ.**—შუა ღამის 1 ს. 58 წ.

№ 2. **პარასკევ.**, შუაღამის 1 ს. 58 წ.

№ 1. **სამ.**, **შაბათ**, ნაშუადღ. 2 ს. 58 წ.

№ 2. **ორშაბ.**, ნაშ. 2 ს. 58 წ.

**ბათომში მოდის:**

**ოდესიდან** პირდაპირი. **საფ.**, **პარ.** დილ. 6 ს. 58 წ.

**ირგვლივ მოსიარულე:**

№ 1. **ორშ.**, საღ. 9 ს. 58 წ.

№ 2. **ოთხშ.**, საღ. 8 ს. 58 წ.

№ 1. **სამშ.**, **პარ.** საღ. 8 ს. 58 წ.

№ 2. **კვირ.**, საღ. 6 ს. 40 წ.

**კასპიის ზღვაზე.**

„**კავკაზი და მერკური**“ საზოგადოების გემებისა.

**ბაქოდან გადის:**

**კრასნოვოდსკს**, ყოვ.-დღე საღ. 4 ს. 40 წ.

**ენზელს** პირდაპირი, **პარ.**, და **სამ.** **შაბ.**, ნაშუადღ. 4 ს 40 წ.

ირგვლივ მოსიარულე:

**ასტარას**, **ხუთშ.** ნაშუადღ. 5 ს. 25 წ.

**ბაქოში მოდის;**

**კრასნოვოდსკიდან** ყოველ-დღ. დილ. 9 ს. 40 წ.

**ენზელიდან** **ორშ.** და **პარ.**, დილ. 6 ს. 5[illegible]

**ასტარიდან** **კვირ.**, ირგვლ. მოს. დილ. [illegible] ს. 44 წ.


# განცხადებანი

**ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო**

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

**ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.**

**დილით:**

„606“ და „914“

**11—12 ს. შეშხაპუნება კონსულტატიურად.**

ს. ა. **ნავასარდიანი**: 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.

ზ. გ. **აგასაროვი**: 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.

კ. მ. **ჩიქოვანი**: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. **ბაბანასოვი**: 10—11 ს. საშვილოსნო(?) ქალებისა და ბავშვებისა.

წ. ტ. **მულინი**: 10—12 ს. ყურისა ცხვირისა და ყელისა.

მ. გ. **ავეტისიანცი**: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

ა. მ. **კარაპეტიანცი**: 12—1 ს. შინაგანი სამშობლო(?) და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ე. ნ. ამბრუმოვა-მელ ქიანი** 1—2 ს. სიზებით(?) და ქალების ავადმ.

**საღამოთი:**

მ. გ. **ავეტისიანცი**: 6—7 საათ.

**ექიმი ქალი გ. ლ. რენიგერ-არეშევისა** 6 7 ს.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთა ვუ[illegible] უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით.

სამკურნალოს დირექტორი მეცნიერ[illegible]

1004 დოქტორი ზ. ა. ნ **ნავასარდიანი**.

# ბაღოსნობა ძმ. ავსარქისოვებისა

**სად. სკრაში** (კავკ. რკ. გზა).

ჰგზავნის **ხეხილის ნერგებს** საზღვარ-გარეთულს, რუსულს, ადგილობრივ საუკეთესო ჯიშისას და **საწალკოტო (დეკორატიული) ხეებსა** და **მცენარეებს** ხელ-მისაწვდომ ფასებში. მსურველთ კატალოგები უფასოდ ეგზავნებათ. მისამართი: Ст. Скра, (З. Ж. Д.) Авсаркисову. 93

# გამოსულია და იყიდება

**ი. გედევანიშვილის პიესა**

„**მამცემი**“

დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

მიიღეთ საუკეთესო გემოს მარცვლოვანი, ქვირითის (კეტოვ.) ხიზილალა;

თევზის მრეწველნი **ძმ. ძეგველოვები.**

პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9.

ტელეფონი № 712.

1131

გამოსული ქერჩის სელიოტკები, და ყოველგვარი კონსერვები.

მოგვდის მუდამ დღე საკუთარი სამრეწველოდან ახალი თევზი, ხიზილალა, (ქიტკა), ორაგული, თარო ტარალანა, ლოქო და სხვა. და აგრეთვე ყოველ დროს იყიდება მაღაზია[illegible]

**მოხარშული ღორში, ზურგიელი,**

და ყოველგვარი

**შავი ხიზილალა**